ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი, 2016 №254 (7180) ფასი: 50 თეთრი

## მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა იგეგმება



გვ.7

# „კალაძემ და კვირიკაშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატების გამო იჩხუბეს“



გვ.5

## ლადო სადღობელაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ნაციონალ არჩილ გეგენავას გაურიგდა“



„ნაცების ჩარეცხვა რომ სდომებოდათ, თავიანთ გუნდში კი არ შეიწოვდნენ (ნაწილს) და რეანიმირებულებსა და რეაბილიტირებულებს კი არ მიათრევდნენ არჩევნებამდე, არამედ საწოლშივე ჩაკლავდნენ!!! აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ოცნება" ნაცების გარეშე ჩამოიშლება, აქტუალობას დაკარგავს. აი, რისთვის სჭირდებათ ერთმანეთი"

## ნიკა რურუა: „ქვეყანა „ოცნების“ კონსტიტუციური უმრავლესობისგან უნდა დავიცვათ“



გვ.4

## პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში დამატებით მანდატებს ითხოვს



გვ.3

რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო

## ზურაბ აბაშიძე: „დღეს არც ოპოზიციაში ვარ და არც — ხელისუფლებაში“



გვ.2

## „სააკაშვილისა და ბოკერიას დაპირისპირება ნაცმოძრაობას დაასამარებს“



სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილის სატელიტების დრო წავიდა“

გვ.3

## დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალები უგულავასა და მერაბიშვილზე გვევაჭრებოდნენ“



გვ.5

ISSN 1987-9385

## კახა კუკავა: „ნაციონალურ მოძრაობას ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს“



გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზურაბ აბაშიძე: „დღეს არც ოპოზიციაში ვარ და არც — ხელისუფლებაში“

ნათია ხურცილავა

**ყოფილი თავისუფალი დემოკრატი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თავის სამომავლო გეგმებზე საუბრობს.**




***— ბატონო ზურაბ, რეალურად რა მოხდა, რატომ დატოვეთ პარტია და რატომ თქვით უარი პოლიტიკურ ბრძოლაზე?***

— გულწრფელად ვფიქრობდი, რომ თავისუფალი დემოკრატები იქნებოდა მეორე არჩევანი საზოგადოების და არა — ნაციონალური მოძრაობა. მე უკეთესი ქვეყნისთვის და უკეთესი მომავლისთვის ვიბრძოდი ჩვენს ამომრჩეველთან ერთად. ეს არ იყო ბრძოლა არც ივანიშვილის და არც კვირიკაშვილის წინააღმდეგ. მე მქონდა სურვილი, რომ უკეთესობისკენ შეგვეცვალა ბევრი რამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ყველამ ვნახეთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. საზოგადოებამ თავისუფალი დემოკრატები, როგორც ალტერნატიული ძალა, არ მიიღო. ეს არის რეალობა და ამ რეალობას ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს.

რაც შეეხება იმას, რატომ დავტოვე პარტია, ჩემამდე გენერალურმა მდივანმა დატოვა, მოგვიანებით პარტიის თავმჯდომარემ. ჩვენ გზა დავუთმეთ იმ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ სურვილი, რომ პარტიულ საქმიანობაში უფრო აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი.

***— გია ვოლსკისთან შეხვედრაზე რა საკითხები განიხილეთ, იყო თანამშრომლობაზე საუბარი ან გარკვეული შემოთავაზება თუ იყო?***

— არანაირ თანამშრომლობაზე ამ შეხვედრაზე საუბარი არ ყოფილა. არც არანაირი შემოთავაზება არ მიგვიღია. გია ვოლსკის ძალიან დიდი ხანია ვიცნობ და ეს ურთიერთობები პარლამენტიდან არ დაწყებულა. ეს არის ადამიანური ურთიერთობები და ამაზე უარის თქმას არ ვაპირებ, ვისთანაც ჩავთვლი საჭიროდ შეხვედრას, იმას შევხვდები.

***— ბატონო ზურაბ, ამ შეხვედრაზე პოლიტიკაზე საერთოდ არ იყო საუბარი?***

— გულწრფელად გეტყვით, რომ ამ შეხვედრაზე არანაირ შემოთავაზებაზე საუბარი არ ყოფილა. მე პირადად მაინტერესებდა, თუ როგორ უყურებენ პოლიტიკური პროცესების შემდგომ განვითარებას, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების პირობებში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს.

დამრჩა განცდა, რომ არავინ აპირებს საკონსტიტუციო უმრავლესობის ბოროტად გამოყენებას. ხომ შეიძლება, რომ ერთხელ გვქონდეს ისეთი საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც ქვეყნის სასიკეთო იქნება, მისი განვითარებისკენ იქნება მიმართული და არა პირიქით, როგორც ჰქონდა ეს ერთ პარტიას და ერთ კაცს საკუთარ ტყავზე მორგებული.

***— საკონსტიტუციო უმრავლესობის საკითხზე იყო საუბარი?***

— ამ საკითხსაც შევეხეთ, ვისაუბრეთ, ჩვენ ამ ადამიანებთან ერთად ვიყავით ხელისუფლებაში, შემდეგ ოპოზიციაში როდესაც ვიყავით, მაშინაც ვთანამშრომლობდით. ვიქტორ დოლიძე და მე დელეგაციების ხელმძღვანელებიც ვიყავით და ვართ, ჩვენ უცხოეთში ჩვენს ქვეყანას წარმოვადგენდით და არა — ოპოზიციას. ეს იყო კლასიკური მაგალითი თანამშრომლობის.

***— თუმცა, გქონდათ განსხვავებული პოზიციები.***

— განსხვავებული საკითხები იყო და დღესაც რჩება. ბევრი საკითხი დღესაც რჩება შეუთანხმებელი. ისე წარმომაჩენენ, რომ ხელისუფლებაში ვარ. მე დღეს არც ხელისუფლებაში ვარ და არც — ოპოზიციაში.

***— თავისუფალი მოქალაქე ხართ?***

— დიახ. დღევანდელი ჩემი მდგომარეობა ასეთია. ხვალ სად ვიქნები და როგორ ვიქნები, ამას დრო გვაჩვენებს.

***— იყო რამე შემოთავაზება?***

— არა.

***— პრემიერ კვირიკაშვილს ხომ არ შეხვედრიხართ?***

— ნამდვილად არა.

***— შემოთავაზებაზე უარს არ იტყვით?***

— ყველაფერი არის განხილვის საგანი. თუ დასჭირდება სახელმწიფოს ჩემი გამოცდილება, მე მზად ვარ ვემსახურო.

***— სად წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?***

— ჩემი თავი ქვეყნის სამსახურში წარმომიდგენია. მთელი ჩემი ცხოვრება საჯარო სამსახურში მაქვს გატარებული. თუმცა, ხვალ შეიძლება სხვა პოზიციაზე აღმოვჩნდე. ახლა ვისვენებ.

***— ამბობენ, რომ ვიქტორ დოლიძე შეიძლება სახელმწიფო მინისტრი გახდეს ევროინტეგრაციის მიმართულებით. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ. ყველაფერს დრო გვაჩვენებს.

***— მკაფიო მოწოდება გააკეთეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ არ გააკეთოს ამომრჩეველმა არჩევანი მეორე ტურში. ეს თქვენი პრინციპული პოზიციაა?***

— დიახ, მე პოლიტიკაში ჩავები ჩემს მეგობრებთან ერთად სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ჩემთვის მართლაც იყო გადამწყვეტი ბრძოლა. მას შემდეგ, რაც ჩვენ ნაციონალური მოძრაობა დავამარცხეთ, მათი უკან მობრუნება და რეინკარნაცია ჩემთვის, როგორც ერთი მოქალაქისთვის, მიუღებელია.

ჩემს საარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეები იყვნენ ჩართულები. მათ უფასო შვებულება ჰქონდათ აღებული და მე, ოპოზიციის კანდიდატს, მეხმარებოდნენ. ვინმე თუ მეტყვის, რომ ეს შესაძლებელი იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, რომ საჯარო მოხელეს მონაწილეობა მიეღო ოპოზიციური კანდიდატის საარჩევნო კამპანიაში, ეს ხომ სრულიად წარმოუდგენელი იყო მაშინ, დღეს ეს შესაძლებელია, ჩვენ მაინც წინ ვართ და ეს კარგია.

***— ბატონო ზურაბ, ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ არჩევნები გაყალბდა?***

— ეს არის ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა. ამერიკამ, ევროპამ არჩევნების შედეგები აღიარა და ჩვენ არ უნდა ვაღიაროთ?! ძალიან გროტესკული იქნება ეს ჩვენი მხრიდან. რა თქმა უნდა, ეს არჩევნები არ იყო იდეალური, იყო გარკვეული გადაცდომები, მაგრამ ამას რეალურ შედეგზე გავლენა ვერ მოუხდენია. საარჩევნო სისტემა სხვა რომ ყოფილიყო, ხელისუფლება საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოიპოვებდა.

***— საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების მომხრე რჩებით?***

— რა თქმა უნდა. მე მიმაჩნია, რომ არსებული მოდელი შესაცვლელია. მე იმედს გამოვთქვამ, რომ კვირიკაშვილის მთავრობის პირობებში საკონსტიტუციო უმრავლესობა ბოროტად არ იქნება გამოყენებული და ქვეყნის ინტერესებისკენ იქნება მიმართული, მაგრამ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების შესახებ ხელისუფლებასაც აქვს განაცხადი გაკეთებული.

# „ჩვენი თანაპარტიელი საბჭოთა მენტალიტეტიდან ვერ გამოვიდა“

## ნინო გოგუაძე ყოფილ თანაგუნდელებს პასუხობს



თავისუფალი დემოკრატების წევრები ყოფილი თანაგუნდელების განცხადებებს ეხმაურებიან და მათ პოზიციას ემიჯნებიან.

ნინო გოგუაძის განცხადებით, მისი ყოფილი თანაგუნდელები საბჭოთა მენტალიტეტიდან ვერ გამოვიდნენ და ოპოზიციაში ყოფნა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჰგონიათ.

— ჩვენ გუშინ ყოფილი თანაგუნდელისგან ღია განცხადება მოვისმინეთ, რომ იგი მზად არის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ხელისუფლებაში დასაქმებისთვის. თავისუფალი დემოკრატებისთვის ეს არის პრინციპულად მიუღებელი, რადგან ჩვენ პრინციპულ ოპოზიციაში წავედით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან, — განაცხადა ნინო გოგუაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლებას ჰყავს პოლიტიკური პატიმრები კაბელების ბიჭების სახით, ხელისუფლებას აქვს დამორჩილებული სასამართლო, ამ ხელისუფლებამ სასამართლო მურუსიძეს ჩააბარა, რომელმაც შეტევა განახორციელა დამოუკიდებელ მედიაზე და, ალბათ, არჩევნების დამთავრების შემდეგ ამ შეტევას კიდევ ვიხილავთ.

— ასე რომ, ჩვენ ვართ ხელისუფლების პრინციპული ოპოზიცია. ამიტომ საზოგადოებისთვის დღეს უკვე ნათელი გახდა, რატომ გაიყო ამ ადამიანებისა და პარტია თავისუფალი დემოკრატების გზები. გუშინ გავიგე, რომ ერთ-ერთი მათგანი კატეგორიულად გამორიცხავს ოპოზიციაში ყოფნას და ამბობს, რომ სახელმწიფოს უნდა ემსახუროს. სამწუხაროა, რომ ჩვენი თანაპარტიელი ვერ გამოვიდა საბჭოთა მენტალიტეტიდან და მას ოპოზიციაში ყოფნა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჰგონია, — განაცხადა გოგუაძემ.

მისთვის გასაკვირია პარტიის ყოფილი წევრების გადაწყვეტილება, ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან, რომელთან ოპოზიციაშიც პარტია ერთად წავიდა და დატოვა თანამდებობები, რადგან ისინი აღარ იყო ის საშუალება, რომელიც წესიერ მიზანს ემსახურებოდა.

— მოსახლეობას ვაფრთხილებთ საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხეზე, მაგრამ არავითარ მოწოდებას არ ვაკეთებთ, — განაცხადა ნინო გოგუაძემ.

# ანი მიროტაძე: „ასეულობით მოქალაქე ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“

— თუ ახალი მოწვევის პარლამენტი მუშაობას ასე დაიწყებს, ასეულობით მოქალაქე კვლავ ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამის შესახებ საპოლიციო გამოსახლების წესის გაუქმების კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, დეპუტატი ანი მიროტაძე აცხადებს.

მისი თქმით, ახალი მოწვევის პარლამენტის მიერ აღნიშნული ინიციატივის გადახედვა ასეულობით მოქალაქეს კვლავ ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენებს.

მიროტაძე ეხმაურება „ქართული ოცნების“ წევრის, დიდუბის მე-16 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატ ილია წულაიას ინიციატივას, რომელიც ფიქრობს, რომ გამოსახლების წესის გაუქმება სწორი არ იყო და ახალი პარლამენტი ამ ინიციატივას გადახედავს.

— საპოლიციო გამოსახლების წესის გაუქმების შესახებ კანონპროექტი იურიდიულ კომიტეტში მომზადდა და პროცესში თითქმის ყველა უწყება იყო ჩართული, განსაკუთრებით კი სასამართლო და სწორედ მათთან აქტიური კონსულტაციების შედეგად მომზადდა აღნიშნული კანონი. საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თვის განმავლობაში ვმუშაობდით, მოგვიწია სერიოზული წინააღმდეგობის გადალახვა, რადგან ინიციატივას საბანკო სექტორი და აღსრულების ბიურო ეწინააღმდეგებოდა, საქმეში ჩართულები იყვნენ ლობისტებიც, თუმცა ჩვენ შევძელით ყველა ბარიერის გადალახვა, რისთვისაც მადლობას ვუხდი ყველა ჩემს კოლეგას და საბოლოოდ მივიღეთ რეგულაცია.

ჩემი აზრით, მერვე მოწვევის პარლამენტმა საპოლიციო გამოსახლების წესის გაუქმებით ერთ-ერთი ყველაზე კარგი კანონი მიიღო, რადგან ასეულობით ადამიანს გაუჩინა იმედი და შანსი იმისა, რომ საკუთრების დაცვას ან დაბრუნებას მხოლოდ სასამართლოს გზით შეძლებს. ამ კანონის მიღება მაშინ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ თითქმის ყველა სექტორის მიერ შეფასდა ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯად, რადგან საპოლიციო გამოსახლება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელიც ძალიან ბევრ ადამიანს ეხება, ამ რეგულაციით კი ყველა მხარის ინტერესი დაცულია.



აღნიშნული კანონი გარკვეულწილად შეეხოთ იპოთეკით დაზარალებულ ძალიან ბევრ მოქალაქესაც, რომელთა პრობლემების მოგვარება, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით. ამ რეგულაციით კი მათ აქვთ შესაძლებლობა, საკითხი სასამართლოს გზით გადაწყდეს, — განაცხადა ეროვნული ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა ანი მიროტაძემ.

მიროტაძის თქმით, იმ პირობებში, როდესაც „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ჯერ დეპუტატიც არ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში დამატებით მანდატებს ითხოვს

## რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო



შორენა მარსაგიშვილი

**პატრიოტთა ალიანსმა არჩევნების შემდეგ გამოცხადებული მდუმარება დაარღვია და საგანგებო განცხადება გაავრცელა. მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტებმა საარჩევნო ბარიერი გადალახეს და პარლამენტში მოხვდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას, მანამდე კი თავად ფიქრობენ ფართომასშტაბიანი გამოძიების ჩატარებას.**

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი აცხადებს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეეგუებიან იმ ციფრებს, რომლებიც არჩევნების შედეგებმა აჩვენა.

თარხან-მოურავი ხელისუფლებას აფრთხილებს, თუ რა შედეგით შეიძლება დასრულდეს მათ მიერ ჩატარებული გამოძიება. მისი თქმით, მათ ერთი გამოძიებით გასულ წელს დაშალეს კოალიცია „ქართული ოცნება“.

– დღეს ჩვენ ოფიციალურად ვართ საპარლამენტო პარტია. ეს ნიშნავს, რომ გაჩნდა საპარლამენტო ტრიბუნა, მაგრამ ჩვენ გარდა არსებობს უამრავი პარტია, რომლებიც ვერ აღმოჩნდნენ პარლამენტში. პარტიების თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმატში ისედაც მიმდინარეობდა და მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ბლოკი, რომელიც ექსპარტიულია, შეეცდება, რომ იყოს ხიდი და წარმომადგენელი პარლამენტში სხვა პარტიების, რომლებიც ვერ აღმოჩნდნენ პარლამენტში. ჩვენ ყველა ერთად შევეცდებით, განვახორციელოთ ფართომასშტაბიანი გამოძიება იმისა, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები.

მინდა შეგახსენოთ, რომ საგარეჯოს არჩევნების შემდეგაც ჩატარდა ასეთი გამოძიება, რამაც „ქართული ოცნების“ ფაქტობრივი დაშლა გამოიწვია. მთავარი გამყალბებელი ამ არჩევნებისა, რესპუბლიკური პარტია, დღეს 1,5%-იანი პარტიაა. ამ გამოძიების შედეგები, შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს როგორც ხელისუფლების, ასევე ნაციონალური მოძრაობისთვის, – განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერის თქმით, საარჩევნო სისტემა მთლიანად შესაცვლელია და ამ საარჩევნო სისტემის არსებობის პირობებში საქართველოს საარჩევნო მომავალი არ აქვს.

– არსებულმა სისტემამ ვერ უზრუნველყო ვერცერთი სამართლიანი არჩევნები გასული 20-30 წლის განმავლობაში. საქართველოში კომუნისტური პერიოდიდან მხოლოდ ერთადერთი სამართლიანი არჩევნები ჩატარდა, რომელშიც სრულიად სამართლიანად და ღირსეულად გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ. მას მერე ქვეყანაში არ ჩატარებულა არცერთი სამართლიანი არჩევნები, – განაცხადა თარხან-მოურავმა.

მისი თქმით, ბოლო წლებში ბევრი ცუდი რამ დაიგეგმა არჩევნების სფეროში. ყველაზე უარყოფითად ის ეგზიტპოლებსა და მათ ჩამტარებლებს აფასებს.

– საქართველოში მუდმივად შემოდიან სრულიად უსახელო ორგანიზაციები, რომელთა სახელწოდებები არაფერს გვეუბნება და მერე ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამ ვილაცამ ჩაატარა კვლევა და თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობა პირველ ადგილზეა, ან რაიმე შედეგი და შემდეგ რატომღაც არჩევნების შედეგების დაახლოება ხდება ამ მონაცემებთან, მაგრამ დაახლოება იმ ხალხისთვის, რომელსაც არ აქვს სპეციალიზებული მათემატიკური განათლება. ცუდია, რომ ამაში ჩაება ახლა ხელისუფლებაც, – ამბობს ალიანსის ლიდერი.

მან გაიხსენა ერთი მაგალითიც, როცა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთმა მეეგზიტპოლე კომპანიამ მათ 2.5% დაუწერა. არჩევნებზე ალიანსმა უფრო მაღალი შედეგი დადო.

თარხან-მოურავი კმაყოფილია, რომ მისი პარტია პარლამენტში შევიდა, მაგრამ მეტი მანდატი სურს. თუ მათ მანდატებს არ დაუმატებენ, ალიანსელები საკონსტიტუციოში აპირებენ ჩივილს.

– ყველა პარტიის პროცენტები, რომლებიც დარჩნენ ბარიერს მიღმა, უნდა განაწილდეს ახლა იმ პარტიებზე, რომლებიც შევიდნენ პარლამენტში. მხოლოდ ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობა ინაწილებენ რატომღაც ამ დარჩენილ 17 ადგილს. ჩვენ არ ვმონაწილეობთ იქ, რაც არასწორია. ჩვენ გავასაჩივრებთ საკონსტიტუციო სასამართლოში და, დიდი იმედი მაქვს, რომ დროულად მოახდენს რეაგირებას და მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. მაშინ ჩვენ 8 მანდატს მივიღებთ, – აღნიშნა დავით თარხან-მოურავმა.

არჩევნების შედეგებით დიდად კმაყოფილი არც პარტიის კიდევ ერთი ლიდერი, ირმა ინაშვილია. მისი განცხადებით, 8 ოქტომბერს არჩევნების გასაყალბებლად რაღაც ახალი, მათემატიკური ფორმულა იყო გამოყენებული.

ინაშვილს თუ დავუჯერებთ, ანალოგიური ეჭვები აქვთ პარლამენტს მიღმა დარჩენილ პარტიებსაც. ისინი თურმე ერთად ცდილობენ გაყალბების ფორმულის ამოხსნას. მისი თქმით, ეს საიდუმლო აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს.

– აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება, კონკრეტულად რა სქემით მოხდა ამ არჩევნების წარმართვა, რადგან რაღაც მათემატიკური ფორმულის გამოყენებას აქვს ადგილი. დღეს ყველა პარტია მუშაობს და ფიქრობს იმაზე, თუ რა ფორმულა იყო გამოყენებული. ახლა, შეიძლება, ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ რეალობა ეს არის. უნდა მოხდეს გამოძიება. ამაში უნდა ჩაერთონ როგორც საერთაშორისო ექსპერტები, ისე ჩვენი პარტნიორი თუ არაპარტნიორი პარტიები, – ამბობს ინაშვილი.

ის ამ საკითხის დაყენებას პარლამენტის წინაშეც აპირებს. მას ძალიან აინტერესებს იმის გარკვევა, თუ როგორ დადგა ყველა ოლქში ერთნაირი შედეგი.

– ამაზე საუბარი იქნება პარლამენტშიც. შეიქმნება თუ არა შემდეგ უკვე პარლამენტში საგამოძიებო კომისია, ეს მეორე ეტაპია. მთავარია, შევხედოთ, როგორ წავიდა ეს პროცესი, რა მათემატიკური ფორმულა იყო გამოყენებული, რომ ყველა ოლქში მაინცდამაინც პირველ ადგილზე გავიდა „ქართული ოცნება“, მეორეზე მაინცდამაინც ნაციონალური მოძრაობა, მერე – ჩვენ. ეს ასე არ ხდება, თუ არ არის გამოყენებული რაიმე ხელოვნურად ფორმულა. ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ გამოყენებული იყო რაღაცა ფორმულა, – აღნიშნა პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ირმა ინაშვილს ამ ფორმულის ამოხსნა რამდენიმე მიზეზით სურს. მთავარი მიზეზი კი თავად არჩევნებია. მისი თქმით, შესაძლოა, ისე წავიდეს საქმე, რომ არჩევნებმა აზრი დაკარგოს.

– 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თუ ვიქნებით გულწრფელი, ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ამბობს, რომ ქვეყანაში აზრი არ აქვს არჩევნებს, მაინც ის იგებს, ვინც ვილაცას უნდა. ჩვენ ეს სტერეოტიპი და ეს პრაქტიკა უნდა დავანგრიოთ, ამიტომ, პირველი, რასაც გააკეთებს ჩვენი ფრაქცია პარლამენტში, იქნება საკითხების დაყენება საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით. მთლიანად უნდა შეიცვალოს ეს სისტემა და ვიმოქმედებთ ამისთვის, – მიაჩნია ინაშვილს.

# „სააკაშვილისა და ბოკერიას დაპირისპირება ნაცმოძრაობას დაასამარებს“

## სოსო შატბერაშვილი: „სააკაშვილის სატელიტების დრო წავიდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" ესაუბრა მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს.**

***– ბოლო ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დესტრუქციული გეგმის თანახმად, უნდა მოხდეს საბოტაჟი სხვადასხვა სტრუქტურაში შეგზავნილი ნაციონალების დახმარებით. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა რაიმე კორექტივები შეიტანა მათ საქმიანობაში?***

– ნაცმოძრაობის საქმე სულ უკან-უკან მიდის. მათ ბევრჯერ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. არჩევნებზეც კრახი განიცადეს. არადა, სააკაშვილი თანაპარტიელებს არწმუნებდა, რომ ისინი 2016 წელს უეჭველად დაბრუნდებოდნენ ხელისუფლებაში. ნაციონალების არაფორმალური ლიდერი მათ ეუბნებოდა, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებდნენ და ყველა საქმეში მათი მოკავშირე იქნებოდა პრეზიდენტი მარგველაშვილი.

ნაციონალებმა პირწმინდად წააგეს. საბოლოო მარცხი განიცადეს მათმა სატელიტებმა და შემოგზავნილმა პიროვნებებმა – პაატა ბურჭულაძემ და შალვა ნათელაშვილმა. საბოლოოდ, სააკაშვილს უნდოდა, რომ მის პარტიას გამოეცხადებინა ბოიკოტი და



არ შესულიყო პარლამენტში. თანაპარტიელებმა მას არ დაუჯერეს.

***– რა იყო ამის მიზეზი?***

– ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ახლანდელ ლიდერებს ძალიან სჭირდებათ სადეპუტატო იმუნიტეტი. მაგალითად, ბოკერიასაც დასაჭერად აქვს საქმე და ჭიაბერაშვილსაც, რომელიც თბილისის მერიც იყო. მისი შემდგომი მერი სასჯელს იხდის, ისევე, როგორც კიდევ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი. ბოიკოტით წარმოჩნდა დაპირისპირება სააკაშვილსა და ბოკერიას შორის.

ამ საკითხზე ცხოვრებაში ერთად ერთხელ დავეთანხმე თამარ ჩერგოლეიშვილს. მან განაცხადა, რომ ათი წელიწადია, შვებულებაში არ ყოფილა, სააკაშვილი კი შორიდან იძლევა დირექტივებს და მას აქ მყოფების ბედი არ აინტერესებს. საბოტაჟის გეგმა ნაცმოძრაობაში ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერი კვირიკაშვილი არ დაუშვებს ნაციონალების შეღწევას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში და საბოტაჟს.

***– განხეთქილება რითი შეიძლება დასრულდეს?***

– სააკაშვილისა და ბოკერიას დაპირისპირება საბოლოოდ დაასამარებს ნაციონალურ მოძრაობას. თავიდან ისინი ორ ნაწილად გაიყოფიან. სააკაშვილი შურისმაძიებელი ადამიანია და ბოკერიას ამ ურჩობას არ შეარჩენს. ეს ჯგუფები ერთმანეთს შეეჯახებიან, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ ქვეყნისათვის ზიანის მოტანა აღარ შეეძლებათ. ნაციონალების ორივე განაყოფი საშიში იქნება.

***– სანდრა რულოვსის უარი, მიიღოს მონაწილეობა მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში, ამ განხეთქილების ნაწილია?***

– დიახ. თანაც, ბოიკოტი არ გამოუვიდათ. რა როლი უნდა შეასრულოს პარლამენტში პოლიტიკაში ახალბედა რულოვსმა? „ქართული ოცნების“ დეპუტატებსა და ირმა ინაშვილს ის დებატებს ვერ მოუგებს. ამიტომ, რულოვსმა გაცლა გადაწყვიტა.

***– სანდრა რულოვსი პარტიულ სიაშიცაა შეყვანილი. ფიქრობთ, რომ ამაზეც უარს იტყვის?***

– დიდი ალბათობით, ის პარლამენტზე საერთოდ უარს იტყვის. სანდო წყარო გვატყობინებს, რომ ამ დღეებში ნაციონალურ მოძრაობაში დიდი ფიზიკური შეხლა-შემოხლაც იყო.

***– ასეთი რამ იქ ადრეც ყოფილა.***

– ყველაზე დიდი ფიზიკური დაპირისპირება ირაკლი ოქრუაშვილის წამოსვლისას მოხდა. ეს პარტია არც არასდროს ყოფილა მონოლითური. ის ადრევე დატოვა კობა დავითაშვილმა. რღვევის პროცესი მერეც მიმდინარეობდა. გახმაურებულია განხეთქილება, რომელიც იყო „რევოლუციურ სამეულში“. ვგულისხმობ ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ უთანხმოებას სააკაშვილის, ჟვანიასა და ბურჯანაძის პარტიებს შორის.

***– ბურჭულაძე და ნათელაშვილი ახსენეთ. ისინი ისევ პოლიტიკაში არიან.***

– ისინი ველარ დარჩებიან პოლიტიკაში. სააკაშვილის საქმიანობაც მთავრდება, მაგრამ მის აქტივობებს კიდევ ვნახავთ. ბურჭულაძისა და ნათელაშვილის დრო კი უკვე წასულია. ბურჭულაძე, თვითონ რაც უნდა თქვას, ფაქტობრივად, უკვე დაუბრუნდა ოპერას. ნათელაშვილის რეინკარნაცია შეუძლებელია.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# ანი მიროტაძე: „ასეულობით მოქალაქე ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გამხდარა და უკვე რეგულაციების გადახედვაზე იწყებს საუბარს, აჩენს ეჭვის საფუძველს, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება.

– მიჩნდება ეჭვი, რომ ლობისტები, რომლებიც თავის დროზე რეგულაციის შემოღებას ეწინააღმდეგებოდნენ, კვლავ გააქტიურდნენ. შესაძლოა, ასეულობით მოქალაქე კვლავ საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, გარდა ამისა, ეჭვქვეშ ვაყენებთ სასამართლოს რეპუტაციას. სწორედ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვის ეკუთვნის ქონება და შემდეგ მოხდეს აღსრულება. საქმე ეხება ქონებას, ადამიანების ბედს და არ შეიძლება, მათი ინტერესები გათვალისწინებული არ იყოს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ახალი მოწვევის პარლამენტი მუშაობას ასე დაიწყებს. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ მზად არის, იპოთეკით დაზარალებულთა საქმე თავიდან გახსნას, – განაცხადა მიროტაძემ.

* * *

20 ოქტომბერს ტელეკომპანია „პირველის“ სატელევიზიო გადაცემა „ბიზნესკონტრაქტთან“ საუბრისას დიდუბის მე-16 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა ილია წულაიამ მოსაზრება გამოთქვა საპოლიციო გამოსახლების გაუქმების თემაზე. მისი თქმით, საპოლიციო გამოსახლების ნორმის დახვეწა აუცილებელია მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად, რათა ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში მაქსიმალურად იყოს დაცული ბინის მესაკუთრეთა უფლებები. აღნიშნულმა საკითხმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და რიგ შემთხვევებში უარყოფითად შეფასდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკა რურუა: „ქვეყანა „ოცნების“ კონსტიტუციური უმრავლესობისგან უნდა დავიცვათ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა პასუხობს.**

***– ბატონო ნიკა, კვირის ბოლოს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურია. რა განწყობაა ნაციონალურ მოძრაობაში? გაქვთ წარმატების იმედი? რამდენად ჯანსაღია საარჩევნო გარემო?***

– დადებითი ნამდვილად ვერ არის, სამწუხაროდ. ზოგადად კი შემიძლია გითხრათ, რომ განწყობა არის საბრძოლო. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ მოხდეს ძალაუფლების სრული კონცენტრაცია ერთ ხელში, „ქართული ოცნების“ ხელში. ამიტომ განწყობა არის, როგორიც უნდა იყოს, სწორედ ისეთი, მაგრამ გარემო არის ძალიან ცუდი.

***– ცუდში რას გულისხმობთ, რა არ მოგწონთ?***

– მოწამლულია გარემო და ეს არ მომხდარა ამ დღეებში. მთელი წინა თვეებიდან დაწყებული, თუნდაც კორცხელის ინციდენტი რომ გავიხსენოთ, იქიდან მოყოლებული, ყველაფერი არის დაშინებაზე, ძალადობაზე. მაგალითად,



ჩემი შტაბის უფროსი დღემდე პატიმრობაშია. ეგეთი რამე შევარდნაძის დროსაც არ მომხდარა. ადამიანს ჩაუდეს რაღაც ჟანგიანი დამბაჩა და ჩასვეს ციხეში, შეუფარდეს ორთვიანი პატიმრობა.

მათი მიზანია, ხელი შეგვიშალონ და ეს არის დაშინებასა და ტერორიზებაზე გათვლილი. ამას რამდენად არ დავემორჩილებით, ეს უკვე ჩვენი გამბედაობის საკითხია და ამის არავის ეშინია! თუმცა ზოგადად გარემო ძალიან ცუდია. მოსყიდვა, დაშინება, ფულის დარიგება, კარუსელების ტრიალი – პირველ ტურში ეს ყველაფერი ვიხილეთ.

***– ამაზე მხოლოდ თქვენი პარტია საუბრობს. საერთაშორისო ორგანიზაციებისგან რომ არ გვესმის მსგავსი შეფასებები?***

– როგორ არ გესმით, რას ლაპარაკობთ?! ენდიაი ამაზე ლაპარაკობდა, რომ სერიოზული პრობლემებია, უამრავი და ეს დარღვევები ჯერ კიდევ ირკვევა, ეს არ არის დამთავრებული პროცესი. წინ მეორე ტურია და ეს დარღვევები თუ გაგრძელდა, მთლიანობაშიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საერთოდ ამ არჩევნების შედეგს. 21-ე საუკუნეა და არ შეიძლება, მანიპულირებით თავს მოახვიო ხალხს შენი საკუთარი ხელისუფლება. მთელი მოსახლეობის 25% უჭერს მხარს მმართველ პარტიას და მას პრეტენზია გაუჩნდა კონსტიტუციურ უმრავლესობაზე!

***– თქვენ ამბობთ, რომ ხელს შეუშლით, დაირაზმებით, რათა მმართველმა ძალამ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვოს. როგორ მოახერხებთ ამას? ამბობენ, რომ გარეთ დარჩენილ ოპოზიციურ პარტიებს გაურიგდით, რათა თქვენ დაგიჭირონ მხარი, ასეა?***

– კარგით, რა. ეს ძალიან არასერიოზულია. მე არ ვიცი, თქვენ რომელ პარტიებს გულისხმობთ. ასეთ სპეკულაციებზე კი სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. მე ვამბობ, რომ შევუშლით ხელს ყველა სამართლებრივი და კონსტიტუციური უფლების გამოყენებით.

ეს არის ძალიან ცუდი რაღაცა, უკონტროლო ხელისუფლება და გაყალბებით მითვისებული ხელისუფლება, ეს არის წინაპირობა ძალიან მძიმე შეცდომებით სავსე გადაწყვეტილებებისა. ამიტომ აქ ჩვენი ინტერესი საერთოა, აღარ აქვს მნიშვნელობა, რომელ პარტიებს ეკუთვნის რომელი ადამიანი, რომელი კანდიდატი. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ ძალაუფლების კონცენტრაციისგან, რაც ნიშნავს კონსტიტუციურ უმრავლესობას „ოცნებისთვის“. ამისგან უნდა დავიცვათ ჩვენი მომავალი.

***– სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებისგან გვესმის შეფასებები, რომ „ოცნებისთვის“ გარდაუვალია საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი მწარე გამოცდილება და წარსული ალაპარაკებს. ამაზე რას იტყვით?***

– რა თქმა უნდა, გამოცდილება ც გვალაპარაკებს, მაგრამ გარდაუვალი ეს არ არის. არ შეიძლება, ეს ცნობილი იყოს წინასწარ, თუ ესენი ისევ გაყალბებას არ აპირებენ. როგორ შეიძლება, წინასწარ თქვა, რა არის გარდაუვალი, როცა არჩევნები წინ არის!

***– თქვენ აცხადებთ, რომ დარაზმულები ხართ, თუმცა სერიოზული ეჭვები გაჩნდა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში რღვევა გრძელდება. ამ ყველაფერს სანდრა რულოვსის განცხადებებიც ერთვის. რა ხდება პარტიაში?***

– ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს სერიოზული ეჭვები სინამდვილეში სპეკულაციებია. არანაირი რღვევა არ გრძელდება. მე თავად პარტიაში მიმდინარე ყველა პროცესის მონაწილე ვარ, ყველა შეკრებას ვესწრები და არაფერი მსგავსი იქ არ შემიმჩნევია. იქ არის ჯანსაღი დებატები მსჯელობის, ფიქრის, რაც აუცილებელია ყველა პარტიისთვის, იმიტომ, რომ ასე მიღებული გადაწყვეტილებებია სწორი!

***– სანდრა რულოვსმა სერიოზული ზეწოლის შედეგად მოხსნა კანდიდატურაო. ზეწოლა ვისგან იყო, სააკაშვილისგან?***

– თქვენ ახლა მეკითხებით ისეთ რაღაცას, რაც აბსოლუტურად შორს არის სიმართლისგან!

# „კალაძემ და კვირიკაშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატების გამო იჩხუბეს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ შეხვდა სალომე ზურაბიშვილი თავისი კონკურენტის ბავშვობის მეგობარს, რა ხდება მცხეთაში, რატომ არ ღირს არჩევნების მეორე ტურზე წასვლა? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**



## ლადო სადღობელაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი ნაციონალ არჩილ გეგენავას გაურიგდა“



**ლადო სადღობელაშვილი:**

– უკვე დიდი ხანია, იმაზე მიწევს საუბარი, რომ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ გარიგებული არიან. ამ თემაზე თუკი რაიმე ეჭვები მქონდა, 8 ოქტომბერს გამართულმა არჩევნებმა სულ გამიფანტა, არჩევნების მეორე ტურის წინ კი ეს გარიგება ძალიან აშკარა გახდა.

მთაწმინდის ოლქში მეორე ტურში ერთმანეთს სალომე ზურაბიშვილი და ნიკა რურუა დაუპირისპირდებიან. ამ დღეებში ძალიან საინტერესო რამე მოხდა, ზურაბიშვილი თავისი კონკურენტის ბავშვობის მეგობარსა და ბიზნესპარტნიორ არჩილ გეგენავას შეხვდა. ამან ბევრი კითხვა გააჩინა და ბევრ კითხვასაც გასცა პასუხი.

საერთოდაც, ბოლო ხანებში რურუასა და ზურაბიშვილის დაპირისპირებამ უცნაური სახე მიიღო. ეს ბატონი და ქალბატონი ერთმანეთს არც კი აკრიტიკებენ.

***– როგორ არ აკრიტიკებენ, რურუამ ზურაბიშვილს სულ პარიჟანკა და ჩამოსული ეძახა.***

– მერე ესაა კრიტიკა? ეს კრიტიკა კი არა, მოფერება უფროა. „ოცნებისა“ და ნაციონალების გარიგება მთაწმინდაზეც იმუშავებს.

***– სალომე ზურაბიშვილი რომ „ოცნების“ კანდიდატი არ არის?***

– ეგ ოფიციალურად არ არის მაგათი კანდიდატი, თორემ ისე „ოცნებამ“ სულ მაგაზე იმუშავა. მას შემდეგ, რაც მან არჩილ გეგენავასთან დადო გარიგება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის რაღაც დოზით ნაციონალების კანდიდატიც არის.

2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტში გეგენავა მთაწმინდის მაჟორიტარი იყო. მიუხედავად მისი ნაციონალობისა, ის არ ყოფილა ცუდი დეპუტატი. მას კარგი საქმეებიც აქვს გაკეთებული. ამ შემთხვევაში მე სალომე ზურაბიშვილთან უფრო მაქვს პრეტენზიები, ვიდრე ყოფილ დეპუტატთან.

***– სალომე ზურაბიშვილთან რატომ გაქვთ პრეტენზიები, თავად არ თქვით, გეგენავა ცუდი დეპუტატი არ ყოფილაო? იქნებ რჩევებს ეკითხებოდა?***

– გეგენავასთან პიროვნულად არანაირი პრეტენზიები არა მაქვს, მაგრამ ვერ დავივიწყებ, რომ ის არის ნაციონალებთან დაახლოებული პირი. ყოფილ ხელისუფლებასთან სიახლოვით მან თავისი ბიზნესი აიწყო და უამრავი ფული იშოვა. ის დღემდე ახლობლობს ნაციონალებთან. აქედან გამომდინარე, ის რჩება ნაციონალად და ისიც ნაციონალია, ვინც მასთან თანამშრომლობს.

ვუყურებ ზურაბიშვილისა და გეგენავას შეხვედრის ფოტოებს და მებადება კითხვა – მეორე ტურში ვის მივცეთ ხმა, ღია თუ ირიბ ნაცს? ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ხმა არცერთმა მათგანმა არ უნდა მიიღოს. ამიტომაც ვთხოვ ყველას, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს.

ყველაზე მეტად სალომე ზურაბიშვილის კომენტარმა გამაოგნა. ეს ქალი გეგენავასთან გამართულ შეხვედრაზე წერს – აი, გავედით ფინიშზეო. რა გამოდის? ნაციონალი რომ არ დახმარებოდა, ფინიშზე ვერ გავიდოდა? აქ კიდევ რაღაცაშია საქმე. ზემოთ უკვე გითხარით, რომ გეგენავა რურუას ძმაკაცია.

***– იქნებ აღარ ძმაკაცობენ?***

– როგორ არ ძმაკაცობენ. ძმაკაცობის გარდა, მათ საერთო ბიზნესინტერესებიც აქვთ. მეტსაც გეტყვით, რურუას საარჩევნო შტაბი იმ შენობაშია განთავსებული, რომლის ერთ-ერთი მეპატრონე არჩილ გეგენავაა.

რურუები და გეგენავა ერთმანეთს ყოველთვის გვერდში ედგნენ. ისინი სააკაშვილის კარის ბიზნესმენები იყვნენ და, როცა სააკაშვილი რურუებს გადაემტერებოდა, მათ ბიზნესს გეგენავა იფორმებდა, გეგენავას თუ გადაემტერებოდა, რურუები გამოდიოდნენ დასახმარებლად.

***– თუ დღემდე მეგობრობენ, რით ხსნით იმას, რომ გეგენავა ზურაბიშვილს შეხვდა და თანაც ეს ინფორმაცია ყველასთვის საჯარო გახადეს?***

– ახსნა ერთი აქვს – აქ რაღაც გარიგებას აქვს ადგილი. ან რურუას სასარგებლოდ გადაწყდება ყველაფერი, ან რაღაც სხვა ამბავია.

***– რა ამბავი, რურუას ბავშვობის მეგობარი რურუას კონკურენტს შეეკრა?***

– შეგვიძლია, ასეც ვთქვათ, რომ ზურაბიშვილმა რურუას ბავშვობის მეგობარი და ბიზნესპარტნიორი აახია.

***– რა უნდა შეეთავაზებინა ზურაბიშვილს გეგენავასთვის ისეთი, რომ მას ბავშვობის მეგობრისთვის ზურგი ექცია?***

– რაღაც გარიგება იქნება. სალომეს იმდენი ფული ნამდვილად არა აქვს, რომ გეგენავას მისცეს. ალბათ, აქეთ აფინანსებს გეგენავა. ხელისუფლების სახელით რაღაც საინტერესოს დაჰპირდებოდა.

ფული ვახსენე და, ცუდი არ იქნება, თუ მაჟორიტარობის კანდიდატები დანახარჯებს წარმოადგენენ. რამდენადაც მე ვიცი, სალომემ 500.000 ლარი დახარჯა, რურუამ კი – 300.000. ეს არ არის ზუსტი ინფორმაცია და, კარგი იქნება, თუ ისინი ფინანსებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებენ. დიდი ეჭვი მაქვს, იმ ქალს სწორედ გეგენავა აფინანსებს და თუ მეორე ტური ზურაბიშვილმა მოიგო, გამოდის, რომ მან ნაცის დახმარებით დაამარცხა ნაცი. ის, ვისაც ნაცები ეხმარებიან, თავადაც ნაცია. ამიტომაც გეუბნებით, მეორე ტურს გამოუცხადეთ ბოიკოტი – დაუჭამიათ ნაცებს ერთმანეთი!

საინტერესო ამბები ტრიალებს მცხეთაშიც, სადაც მაჟორიტარობის გამო ერთმანეთს კალაძე და კვირიკაშვილი დაუპირისპირდნენ.

***– ხუნდაძისა და ჩოჩელის გამოა ეს დაპირისპირება?***

– სწორედაც რომ მაგათ გამოა. ცეზარ ჩოჩელი ბოლო ხანებში ძალიან გაქოცდა და გიორგი კვირიკაშვილთან საერთო ენა გამონახა. ისინი ერთმანეთს მაშინ დაუახლოვდნენ, როცა კვირიკაშვილი ეკონომიკის მინისტრი იყო. ბოლო პერიოდში მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. რამდენიმე თვის წინ ჩოჩელმა საწარმო გახსნა. ამ ცერემონიალს პრემიერიც დაესწრო. ნახა რა ასეთი მხარდაჭერა, ცეზარმა გადაწყვიტა, მაჟორიტარად დაეყენებინა თავისი კანდიდატურა.

ამ ამბავმა ძალიან გააბრაზა დიმიტრი ხუნდაძე, რომელიც მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატია. როგორც ამბობენ, ისე გაბრაზდა, საცვლებიდან და წინდებიდან ამოხტა. ამაზე მან ივანიშვილთანაც იჩივლა. ის ამ საქმეში არ ჩაერია, სამაგიეროდ, კახა კალაძე გადაირია.

***– ის რაღამ გადარია?***

– იმას თავისი გაჭირვება აქვს, პარლამენტში საკუთარ დასაყრდენს იმზადებს, შერჩეული ჰყავს ხალხი. მათ რიგებში არიან დიმიტრი ხუნდაძე და ზაქარია ქუცნაშვილი. თავიდან „ოცნება“ მათი კანდიდატურების დასახელებას არც აპირებდა, მაგრამ კალაძეს აუტეხია ამბავი, ზაქრო და დიმიტრი „სტარაია გვარდიაა“ და ვერ შეველევიოდ.

30 ოქტომბერს მცხეთაში კვირიკაშვილისა და კალაძის ინტერესები დაეჯახება ერთმანეთს. რამდენადაც ვიცი, სუსი მცხეთაში ცეზარის სასარგებლოდ მოქმედებს. აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით – ძალოვანი სტრუქტურები ორად არის გაყოფილი, ნაწილი კალაძეს ემორჩილება, ნაწილი – კვირიკაშვილს.

საბოლოო ჯამში, ძალიან ცუდი სიტუაცია მივიღეთ. აქამდე არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის გვიწევდა. ნაცებისა და ქოცების კოაბიტაციის შემდეგ არჩევანს უარესსა და უფრო უარესს შორის ვაკეთებთ.

კოაბიტაციის დასკვნით ეტაპზე ნაციონალები კიდევ უფრო მოძლიერდებიან და, არ არის გამორიცხული, ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

***– „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ ეს არასდროს მოხდება.***

– მე მაგ ზღაპრების არ მჯერა. ნაცების ჩარეცხვა რომ სდომებოდათ, თავიანთ გუნდში კი არ შეიწოვდნენ (ნაწილს) და რეანიმირებულსა და რეაბილიტირებულებს კი არ მიათრევდნენ არჩევნებამდე, არამედ საწოლშივე ჩაკლავდნენ!!!

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ოცნება“ ნაცების გარეშე ჩამოიშლება. აქტუალობას დაკარგავს. აი, რისთვის სჭირდებათ ერთმანეთი!

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ოცნებისა“ და ნაცების ამბავი ამერიკაში გადაწყდა. ამერიკელებს უნდათ, რომ აქაც ორი პარტია იყოს. ამერიკაში 200 პარტიაა რეგისტრირებული, მაგრამ მხოლოდ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს აქვთ გასაქანი. აქაც ასე მიდის საქმე, გადაწყვეტილი აქვთ, სხვა პარტიები გააქრონ და ქვეყანა ნაცქოცებს ჩაუგდონ ხელში.

ნონა ცაბაძე

# კახა კუკავა: „ნაციონალურ მოძრაობას ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს“

## ინტერვიუ კახა კუკავასთან

***– ბატონო კახა, წინ მეორე ტური. ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს იმას, რომ ოპოზიციიდან ხმების ნაწილი შესაძლოა მართლაც წავიდეს ნაციონალების მხარდასაჭერად. თქვენი პოზიცია როგორია, ვის უჭერთ მხარს მეორე ტურში?***

– თავისუფალი საქართველო მეორე ტურში არ უჭერს მხარს არც ერთ პარტიას და არც ერთ კანდიდატს, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის ნამდვილი სპექტაკლი, დადგმული სცენარი.

***– რას გულისხმობთ?***

– არანაირი ინტრიგა მეორე ტურს არ ახლავს თავს. ყველა ოლქს მოიგებს „ქართული ოცნება“, ის შექმნის საკონსტიტუციო უმრავლესობას, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას აქვს ისეთივე ფუნქცია, რაც ჟირინოვსკის – რუსეთში. ან სხვა ქვეყნებში, სადაც არსებობს სატელიტური ოპოზიცია, რომ შექმნან ოპოზიციის იმიტაცია. არანაირი რეალური კონკურენციის ფუნქციას ისინი არ ასრულებენ. აქედან გამომდინარე, მოტყუებულია „ოცნების“ ამომრჩეველიც და ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველიც.

***– და რაში გამოიხატება ეს მოტყუება?***

– „ოცნების“ ამომრჩეველი მოტყუებულია იმიტომ, რომ მას ეუბნებიან, მოდით და ხმა მიეცით „ოცნებას“, იმიტომ, რომ ნაციონალები მოვსპოთ და სინამდვილეში, ისინი, „ოცნების“ მხარდაჭერით, ხმას აძლევენ ნაციონალების კიდევ უფრო გაძლიერებას, გამყარებას და ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალად ქცევას. ასევე მათთვის ხელშეუხებლობის გარანტიას. ასევე მოტყუებულები არიან ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებიც. მათი ამომრჩევლების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ხმას აძლევს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

***– სინამდვილეში ასე არ არის?***

– სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილის რეჟიმს არ ებრძვის და მისი მიზანია მეორე ადგილის დაკავება. რაც იყო სააკაშვილის დროს ქდმ, დაახლოებით იმ ფუნქციას ასრულებს დღეს ნაციონალური მოძრაობა. ისინი შევლენ პარლამენტში, აირჩევიან ვიცე-სპიკერებად და კომიტეტების თავმჯდომარეებად და ივლიან სხვადასხვა მივლინებებში.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ემიჯნებით მეორე ტურს, თუმცა გვესმის შეფასებები, რომ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებისგან ნაციონალები ხმებს მიიღებენ. დაუჭერს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია მხარს ნაციონალურ მოძრაობას?***

– ძირითადი ნაწილი არასაპარლამენტო ოპოზიციის, ვისთანაც ჩვენ ურთიერთობა გვაქვს, არც ერთს უჭერს მხარს. იმიტომ, რომ ეს არის ერთი და იგივე ძალა, მოქალაქეთა კავშირის ორი დანაყოფი! ორი პარტია, ვინც მე ვიცი, რომ მხარი დაუჭირა ნაციონალურ მოძრაობას, არის გირჩი და რესპუბლიკელები.

***– ჩვენ მოვისმინეთ რესპუბლიკური პარტიის ლიდერების განცხადებები, რომ ეს მათთვის ხარაკირის ტოლფასი იქნება.***

– ამ პარტიაში იყო ასეთი განხილვა. ჩვენ კი ამას კატეგორიულად გამოვრიცხავთ. ასევე, როგორც მე ვიცი, ამას გამორიცხავენ ლეიბორისტები, გამორიცხავენ თავისუფალი დემოკრატები, გამორიცხავს ბურჯანაძის ჯგუფი. გირჩმა და რესპუბლიკელებმა კი გააკეთეს საპირისპირო განცხადება, მერე შიგნით რა დისკუსია ჰქონდათ, არ ვიცი, მათ პოლიტსაბჭოს ოქმებს მე არ ვკითხულობ.

***– გავრცელდა ინფორმაციები, რომ „ოცნება“ და ნაციონალები გარიგდნენ და ზუგდიდი და მარნეული გადაინაწილეს. ამას სანდრა რულოვსის კანდიდატურის მოხსნაც დაემთხვა. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია?***

– მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასეა. ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილმა მის სატელიტად აქცია. არანაირი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობა არ არის და ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ იქნება.

***– რატომ?***

– ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს, თუ ქართველ ხალხს ექნა არჩევანი, რომ ნაციონალური მოძრაობა გირჩევნიათ თუ „ოცნება“, აშკარად იგებს „ქართული ოცნება“.

***– აბა, ნაციონალების ოპოზიციონერობა მითია?***

– დამიჯერეთ, არანაირი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობა არ არის! ნაციონალური მოძრაობა ამ ქვეყანაში არჩევნებს ვეღარ მოიგებს ვერასდროს! გიგა ბოკერია დღესაც არის კავშირზე ხელისუფლებასთან და ნაციონალური მოძრაობის ყველა ნაბიჯი შეთანხმებულია ხელისუფლებასთან.

***– ანუ ადასტურებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი და გიგა ბოკერია გარიგდნენ?***

– რა თქმა უნდა! დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის მთავარი დამფინანსებელი არის ბიძინა ივანიშვილი. დღეს ნაციონალების შიგნით დაპირისპირება არ არის. დაპირისპირება არის ნაციონალებსა და სააკაშვილს შორის. შიგნით ყველაფერი რიგზეა. ერთ მხარეს არის სააკაშვილი, რომელიც ჩატოვეს სადღაც ოდესაში და არავის აღარ აინტერესებს და ფეხებზე დაიკიდეს. მეორე მხარეს არიან ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები, რომლებმაც ივანიშვილის შეთავაზებული თბილი სავარძლები და კარგი ცხოვრება აირჩიეს.



***– ანუ მიმდინარეობს სააკაშვილის ჩაჩოჩების პროცესი?***

– კი, ნამდვილად მიმდინარეობს. რამდენი ხნით, ამას დასავლეთი გადაწყვეტს. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დასხდებიან კრემლის და ვაშინგტონის ხელისუფლებები და გადაწყვეტენ, ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში. ჩვენთან მთავრობა ყოველთვის ასე იცვლებოდა. ამ ეტაპზე, რადგან მთავრობის ცვლილება დაგეგმილი არ არის, არც დამკვირვებლების გამოგზავნით შეუწუხებიათ თავი, არც შეფასებების გამოქვეყნებით. ჩვენმა არასამთავრობოებმაც პირში წყალი რომ ჩაიგუბეს, ვერ ატყობთ? და აღარ ყაყანებენ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს პროცესი იმართება გარედან. ამ ეტაპზე ხელისუფლების ცვლილება დაგეგმილი არ არის. დაკვეთა არ მოსულა ვაშინგტონიდან. ოთხი წლის შემდეგ კი ყველა ერთად აყაყანდება, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები. ეს კინო ნანახი გვაქვს 2003-ში. ეს გადაწყვეტილებები მიიღება ორი ვადის ამოწურვის შემდგომ.

***– ანუ კიდევ ოთხი წელი არაფერი შეიცვლება?***

– არა. ბიძინა ივანიშვილს რომ ამოეწურება შემდეგი ოთხი წელიც, ერთი წლით ადრე დაიწყება ახალი ისტერია. ჩაიდება მილიონები საქართველოს ოპოზიციაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და იტყვიან, როგორ ცუდად არის ქართული დემოკრატიის საქმე. ყველაფერი კი დამთავრდება ისე, როგორც დამთავრდა წინა ორ ჯერზე.

ეს არის ძირეული პრობლემა, თორემ ივანიშვილი, სააკაშვილი და ბოკერია პაიკები არიან. მათ არავინ არაფერს ჰკითხავს.

# დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალები უგულავასა და მერაბიშვილზე გვევაჭრებოდნენ“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მომავალ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობასთან კოაბიტაცია არ დასჭირდება, რადგან კონსტიტუციური უმრავლესობა ექნება.**



***– ბატონო დავით, თუ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს, ნაცმოძრაობასთან, რეალურად, დასრულდება კოაბიტაცია?***

– მაშინ, როდესაც გუნდს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისთვის ხმები არ ჰყოფნის, იძულებული და ვალდებულია, სხვა პოლიტიკურ ძალებს დაელაპარაკოს და დათმობებზე წავიდეს, რომ შეაგროვოს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

***– ანუ იძულებული იყავით, ნაცმოძრაობასთან შეთანხმებისთვის გელაპარაკათ?***

– ნაცმოძრაობის მთელი მზაკვრობა ის იყო, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების განსახორციელებლად ბარიერი მაღლა ასწია. ახლა საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა პარლამენტის 113 წევრის თანხმობა, როდესაც წინათ საჭირო იყო 100 ხმა. ამდენად, თუ არ გაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, დამატებით 13 დეპუტატთან მოგიწევს საუბარი და წინადადებების მათთან გაზიარება.

***– ანუ თქვენ გიწევდათ ნაცმოძრაობის დეპუტატებთან საუბარი იმისათვის, რომ კონკრეტული საკითხისთვის ხმა მიეცათ?***

– დიახ. ნაცმოძრაობის მთელი ბანდა მაქსიმალურად ცდილობდა საჭირონი ყოფილიყვნენ. მათ პოლიტიკური საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვთ. პოლიტიკური საქმიანობა ერის საზიანოდ იყო თუ სასარგებლოდ, საზოგადოებამ კარგად იცის.

***– ნაცმოძრაობა გევაჭრებოდათ?***

– დიახ, გამალებული ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული, რაღაც საკითხში დაგთანხმდებით, თუ მერაბიშვილს ან უგულავას გაათავისუფლებთო.

***– კონკრეტულად, ვინ აყენებდა ამ საკითხებს?***

– მე თვითონ არ ვესწრებოდი ამ შეხვედრებს, მაგრამ ჩვენი გუნდის წევრებს ჰქონდათ შეხვედრები და ეს ინფორმაცია ნამდვილია. მთავარია, რომ ეს იყო მათი გუნდის გადაწყვეტილება. ისინი ამაზე მუშაობდნენ და ამაზე აკეთებდნენ აქცენტებს. ჩვენ მათი მოსაზრებები არ გავიზიარეთ.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობა საშიშროებად მიაჩნიათ.***

– როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, პრემიერისთვის მინიჭებული განუზომელი უფლებები შეიკვეცა. მერე კი პრემიერი წავიდა ხელისუფლებიდან. საუბარი იმაზე, რომ თუ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება, ეს საშიშროებას შექმნის, თითიდან გამოწოვილია. ამ ადამიანებს აქვთ მაიას სინდრომი.

***– რას ნიშნავს მაიას სინდრომი?***

– მაიას ტომი არავის ეგონოს. მაია ნადირაძეზეა საუბარი. როდესაც ეს ქალბატონი უმრავლესობის ლიდერი იყო, გამოაცხადა, ახლა ჩვენ ვართ უმრავლესობაში და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. თქვენ რომ მოხვალთ უმრავლესობაში, რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ნაცმოძრაობას ჰგონია, როგორც თვითონ იქცეოდნენ, ისე მოიქცევა „ქართული ოცნება“, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება. „ქართული ოცნება“ გაატარებს თანმიმდევრულ პოლიტიკას.

***– რა შეაკავებს? თქვენ რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ „ოცნება“ არ მოიქცევა ისე, როგორც ნაცმოძრაობა?***

– „ქართული ოცნების“ გუნდი თვისობრივად სულ სხვაა. 2012-2016 წლებში პარლამენტში უმრავლესობა გვქონდა. მთავრობა, სტრუქტურები „ოცნების“ წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ საზოგადოებამ დაინახა, რომ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. ამის სიმპტომები რომ ყოფილიყო, მხარს არ დაგვიჭერდა.

„ოცნებას“ ჰყავს ძალიან სერიოზული, გაწონასწორებული პოლიტიკური ლიდერი, პრემიერ-მინისტრი, პარტიის თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილი, გენერალური მდივანი, აღმასრულებელი მდივანი, ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც არ აპირებენ, თავისი გაკეთებული საქმით ერთ ვადაში დაამთავრონ პოლიტიკური მოღვაწეობა და მერე სხვაგან წავიდნენ.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობის შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი იქნებაო შემაკავებელი ფაქტორი, რომ „ოცნებამ“ ის არ გააკეთოს, რაც ნაცმოძრაობამ. ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მოქმედებს „ოცნების“ გუნდში, რომ მან ცუდი გადაწყვეტილებები არ მიიღოს?***

– არ მომერიდება და ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ჩვენ გვახსოვს არაერთწლიანი ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, როცა ვერავინ ვერაფერს მიაღწია. ბიძინა ივანიშვილი და ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ ნაცრეჟიმი დაგვემარცხებინა. ჩვენი მიზანია, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. თუ ვინმეს ჰგონია, ბიძინა ივანიშვილს არავინ უნდა ელაპარაკოს, ცდება.

***– კოაბიტაციურმა რეჟიმმა რა გადაწყვეტილებებში შეგიშალათ ხელი? არსებობს საყვედურები სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. თქვენ ახლა სხვა რა გახსენდებათ?***

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მთელს ამ კოაბიტაციურ პირობებში არის ის, რომ ძალიან ბევრი ლიდერი დაგვრჩა განაწყენებული იმის გამო, რომ მათთვის ვერ მოიძებნა ადგილი. თუნდაც ის, რომ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა თავისი პოზიციები შეინარჩუნეს, რაც ერთეული შემთხვევები არ არის. ეს ჩემთვის ბევრად უფრო მტკივნეული თემაა, ვიდრე სხვა მიმართულება.

***– ახლა ვეღარ შეინარჩუნებენ? ჩინოვნიკებზეა საუბარი?***

– იმ ჩინოვნიკებზეა საუბარი, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ თვალს ხუჭავდნენ ნაციონალების პერიოდში მომხდარ დანაშაულობებზე. აქ საუბარი არ არის იმ ჩინოვნიკებზე, რომლებიც ნაცმოძრაობის პერიოდში მუშაობდნენ. ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებიც იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები (ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები) მთავრობასა თუ ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელობის დონეზე, რომელთა ხელით ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს ყველა სიბინძურე მართლდებოდა.

ისინი ყველაფერზე ხელს აწერდნენ. ერთი ვერტიკალი იყო – თბილისში რასაც სამი კაცი მოილაპარაკებდა (ბოლო სიტყვა იყო სააკაშვილზე), უპირობოდ სრულდებოდა. ამ შესრულებას ჰქონდა ძალიან დიდი ფასი, რადგან გადიოდა ადამიანებისთვის თავისუფლების აღკვეთაზე, ქონების წართმევასა და ასეულობით შემთხვევაში ადამიანების სიცოცხლის ხელყოფაზე.

***– კოაბიტაციის გამო ვერ ახდენდით რეაგირებას?***

– როცა ისინი ამას ჩადიოდნენ, ჩვენ არ ვიყავით. ვერავინ დამაჯერებს, საქმე რომ ფუჭდებოდა, მხოლოდ მინისტრი იყო დამნაშავე. ის ადამიანები შემდგომში შემორჩნენ იმის გამო, რომ ჩვენ კოაბიტაციურ რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. მე არასოდეს მომწონდა, კოაბიტაციური რეჟიმი რომ შენარჩუნდა, მაგრამ ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან ვთანამშრომლობთ და ყველაფერი გასათვალისწინებელია.

***– ნაცმოძრაობა საბოლოოდ დამარცხდა?***

– რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, მეორე ტურში 50 ოლქში გავიმარჯვებთ. ახლა 49 ოლქი დარჩა, რადგან სანდრა რულოვსმა კანდიდატურა მოხსნა. ვფიქრობ, ესეც შეგნებულად გაკეთდა, რადგან მას არანაირი შანსი არ ჰქონდა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა იგეგმება



ავტომობილების დილერებისა და იმპორტიორებისთვის კულუარულად გახდა ცნობილი, რომ მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე ახალი რეგულაციების ამოქმედება ახალი წლიდან იგეგმება.

სახელდება ორი სავარაუდო თარიღი – 1 იანვარი და 1 მარტი.

ამის ფონზე, იმპორტიორები ცდილობენ, მიმდინარე წელსვე მოასწრონ ავტომობილების იმპორტი, რადგან ვარაუდობენ, რომ მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვა მანქანების გაძვირებასა და მათზე მოთხოვნის შემცირებას გამოიწვევს.

მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვაზე საუბარი საქართველოში 2015 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად 2017 წლის 1 იანვარს ასახელებდა. კანონპროექტის ავტორები დღესაც იმედოვნებენ, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა მოძრაობას განტვირთავს და უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს.

– მთელ საქართველოში ინფრასტრუქტურა მარცხენასაჭიან მანქანებზე მოძრაობისთვის არის დაგეგმილი და ამ დროს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა არ უნდა იზრდებოდეს, – ასეთი გახლდათ კანონპროექტის ავტორთა არგუმენტები.

დღეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუმცა, როგორც „ეკოტრანსპორტცენტრის“ ხელმძღვანელი ვასილ ურუშაძე აცხადებს, ალბათ, ამ საკითხს ახალი პარლამენტი გადაწყვეტს.

– აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში 2015 წლის დეკემბერში შევიდა და მისი განხილვა მაშინვე დაიწყო. კანონპროექტის პირველად ვერსიაში იყო ჩანაწერი, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა 2016 წლის 1 მარტს უნდა მომხდარიყო, მაგრამ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, ვინც მივიჩნევდით, რომ ეს უსამართლო გადაწყვეტილება იყო, დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ, – განაცხადა ვასო ურუშაძემ.

მისი თქმით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები კავშირში არ არის ეკოლოგიასთან და მოძრაობის უსაფრთხოებასთან, არც იმ მოტივებთან, რაზეც შსს ამახვილებს ყურადღებას და რითაც ინიციატორები ცდილობენ თავიანთი შეხედულებების გამართლებას.

– ყველა არგუმენტი, რომლითაც შსს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაუქმებას ამართლებს, გაბათილდა. მაშ, რატომ უნდა აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი მანქანები? – ამ შეკითხვაზე პასუხი მხოლოდ ხელისუფლების კულუარებშია, – აღნიშნა ბ-მა ურუშაძემ.

მისი აზრით, ალბათ ვინმეს საკუთარი ბიზნესინტერესები ამოძრავებს, სხვა ოფიციალური არგუმენტი, თუ რატომ უნდა აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, არ არსებობს.

– სხვათა შორის, საზოგადოების პროტესტის შემდეგ ამ კანონპროექტზე მსჯელობა შეწყდა, მას პარლამენტში აღარც განიხილავდნენ, რადგან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და, როგორც ჩანს, მთავრობამ გადაწყვიტა არჩევნების დასრულებამდე თავი შეეკავებინა, – განაცხადა ვასო ურუშაძემ.

ურუშაძის თქმით, კანონპროექტი უკვე პარლამენტშია და ის ახალი მოწვევის პარლამენტმა უნდა განიხილოს, ამიტომ მას უმრავლესობა მხარს დაუჭერს.

– ამ პარლამენტის უმრავლესობაში იქნება ის პოლიტიკური გუნდი, რომლის ინიცირებულია აღნიშნული კანონპროექტი. მისი ერთ-ერთი ავტორია შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, რომელიც ახლა უკვე პარლამენტის წევრის რანგში მოგვევლინება. ამიტომ, მმართველი გუნდი მაქსიმალურ ლობირებას გაუწევს ამ კანონპროექტს, რომელიც შეფუთულია, როგორც საგზაო უსაფრთხოების კანონპროექტი, – აღნიშნა ვასილ ურუშაძემ.

მან არ იცის, როდის მოხდება აკრძალვა – 1 იანვარს, თუ 1 მარტს, მაგრამ ის უნდა მიიღოს ახალმა პარლამენტმა ახალი შემადგენლობით. ამის შემდეგ უნდა იყოს განხილვები, შესაძლოა კორექტივებიც შეიტანონ, შესაძლებელია პროცესი ცოტა დროში გაიწელოს, მაგრამ დიდია ალბათობა, რომ ბოლოს მაინც დაამტკიცებენ.

– ჯერჯერობით კი ზუსტი ინფორმაცია არავის აქვს, რადგან ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ახალმა პარლამენტმა, რომელიც ნოემბერში დაკომპლექტდება, – ასკვნის ვასილ ურუშაძე.

* * *

აიკრძალება თუ არა მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაცია?

ამ შეკითხვაზე პასუხი არც პარლამენტში აქვთ და არც – შსს-ში.

– ეს საკითხი ახალმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, ამიტომ ჩვენ ვერაფერს გეტყვით, – გვიპასუხა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა.

თავის მხრივ, შსს-ში აცხადებენ, რომ უწყებას კანონპროექტი უკვე შეტანილი აქვს პარლამენტში და ახლა უკვე პარლამენტის პრეროგატივაა მისი განხილვაც და დამტკიცებაც.

გაურკვევლობა ამ საკითხში ავტოდილერებსაც აბნევს.

ავტოდილერი ლევან ჩიქვანაია აღნიშნავს, რომ ადრე მარჯვენასაჭიანი ავტომობილები საკმაოდ კარგად იყიდებოდა, ახლა კი კლიენტები ამ მანქანებს ნაკლებად ეტანებიან.

– მარჯვენასაჭიანი მანქანები მყიდველებს შორის საკმაოდ პოპულარული იყო. ვინც ტარება იცის, მარჯვენასაჭიან მანქანასაც კარგად ატარებს და მარცხენასაჭიანსაც. აიკრძალება თუ არა, ჯერ ამის შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს. ფაქტია, რომ ეს მანქანები მხოლოდ საქართველოში იყიდება, რადგან მათი რეგისტრაცია მეზობელ ქვეყნებში დაშვებული არ არის, – განაცხადა ავტოდილერმა.

შესაბამისად, ამ ავტომობილებს ძირითადად ქართველები ყიდულობდნენ, რადგან მათი ფასი მარცხენასაჭიან მანქანებთან შედარებით იაფია – 3.500 დოლარად რომ შეიძენთ ნორმალურ მარჯვენასაჭიან მანქანას, 5 ათასი მარცხენასაჭიანში უნდა გადაიხადოთ.

– ამ ეტაპზე მარჯვენასაჭიანების შეძენას უკვე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებიც ერიდებიან, – აღნიშნა ლევან ჩიქვანაიამ.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონით ინვესტორები აღარ ინტერესდებიან

ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონით ინვესტორები აღარ ინტერესდებიან.

როგორც აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ამ დრომდე კონკრეტული ინვესტორის მხრიდან სურვილი, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ოპერირება დაიწყოს, არ დაფიქსირებულა.

სამინისტროს ინფორმაციით, ზონასთან დაკავშირებით უფრო დეტალურ პასუხს ცენტრალური მთავრობიდან, კონკრეტულად კი ეკონომიკის სამინისტროსგან მივიღებთ.

– ტურისტულ ზონებთან დაკავშირებით ეკონომიკის სამინისტრო იღებს ხოლმე დაინტერესებული პირის განაცხადს. შესაბამისად, ამ უწყებას ეცოდინება ახალი ინფორმაცია, თუმცა, რამე ახალი რომ იყოს, ჩვენც გვეცოდინებოდა, – აცხადებენ აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში.

რა კონკრეტული ინტერესი არსებობს ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონასთან დაკავშირებით და ვისგან, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროშიც ცადა, თუმცა უშედეგოდ.

* * *

ქობულეთის ტურისტული ზონისადმი უკრაინელმა ინვესტორებმა ინტერესი 2015 წლის მაისში საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმზე გამოხატეს. მაშინ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის დავით ბალაძე აცხადებდა, რომ კომპანიები უზრუნველყოფენ გარანტიების წარდგენას, რათა ინვესტორებმა თავი იგრძნონ უსაფრთხოდ.

სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ პროექტები შეფასებულიყო და ინვესტორებისთვის მიეწოდებინა ზუსტი მონაცემები, მათ შორის პროექტის ღირებულება, მათი ინვესტიციები კი, ბალაძის თქმით, დაცული იქნებოდა.

საბოლოოდ, უკრაინელებმა ქობულეთის ტურისტულ ზონაზე უარი თქვეს. გასული წლის ოქტომბერში ოდესაში ამ საკითხზე შეხვედრებიც დაგეგმილი იყო, თუმცა, თემას გაგრძელება არ მოჰყოლია. მაშინ აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროში აცხადებდნენ, რომ აღნიშნული შეხვედრა არ შედგა, მიზეზს კი უწყებაში არ აკონკრეტებდნენ.

გასული წლის ნოემბერში აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ცეცხლაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ტურისტული ზონებისადმი ხელისუფლება მიდგომებს ცვლიდა და ინვესტორების ინტერესების გათვალისწინებას ცდილობდა.

საუბარი იყო „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებებზე, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით იყო მომზადებული.

მაშინ ცეცხლაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ცვლილებებით, ინვესტორების ინტერესების უფრო მეტად გათვალისწინება მოხდებოდა.

– დღეს ქვეყანაში 3 თავისუფალი ტურისტული ზონაა, სადაც რამდენიმე ოპერატორი საქმიანობს. მათთან აქტიური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის შემდეგ კი დადგა იმის საჭიროება, რომ კანონი უფრო მეტად გასაგები და ინვესტორებისთვის კიდევ უფრო მორგებული ყოფილიყო.



კანონში ცვლილებები 2015 წლის ბოლომდე შევა. დღეს საქართველოში, ანაკლიის, განმუხურისა და ქობულეთის ტურისტული ზონა არსებობს. ანაკლიაში ორი ინვესტორი საქმიანობს, სასტუმროს აშენებს და ქობულეთშიც, დაახლოებით ამდენივეა. მათ შორისაა სომეხი და ადგილობრივი ინვესტორები. მათთან კომუნიკაციით გაირკვა, რომ კანონში ცვლილებები მათ საქმიანობას უფრო აქტიურს გახდიდა, ასევე სხვა ინვესტორების დაინტერესებაც გაიზრდებოდა, – აცხადებდა ცეცხლაძე.

იყო თუ არა უკრაინელი ინვესტორის მხრიდან ქობულეთის თავისუფალ ტურისტული ზონაზე უარის თქმის მიზეზი არსებული კანონმდებლობა, უცნობია. გასული წლის ბოლოს ცეცხლაძე აცხადებდა, რომ კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებული იყო და ის პარლამენტში იყო გადაგზავნილი.

* * *

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ კანონპროექტი კომიტეტში განიხილებოდა, თუმცა, გარკვეული შენიშვნებით მთავრობას უკან დაუბრუნდა.

მაისურაძე ამბობს, რომ მას შემდეგ გადამუშავებული ვარიანტი საკანონმდებლო ორგანოში არ შესულა.

ცვლილებები ძირითადად თავისუფალ ტურისტულ ზონებში ინვესტორთა ვალდებულებებს და მათთვის კანონით განსაზღვრულ საშეღავათო პირობებს ეხებოდა.

დღეს მოქმედი კანონით, ინვესტორი ვალდებულია, თავისუფალ ტურისტულ ზონაში, სასტუმროს ტერიტორიაზე, სასტუმროს პროფილთან თავსებადი საქმიანობა განახორციელოს. პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით კი ინვესტორი ასეთი ვალდებულებისგან თავისუფლდება.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# თბილისიდან ქუთაისის აეროპორტის მიმართულებით, შესაძლოა, მატარებელი დაინიშნოს

თბილისიდან ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის მიმართულებით, შესაძლოა, მატარებელი დაინიშნოს, რომელიც პირდაპირ რეისებს რეგულარულად შეასრულებს.

„საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს დაჩი ცაგურიას თქმით, პირველ ეტაპზე პროექტის მომგებიანობა და ეფექტურობა უნდა დადგინდეს, რის შემდეგაც გადაწყდება მისი მშენებლობა.

ეკონომიკური კვლევა წლის ბოლომდე დასრულდება, რის შემდეგაც საპროექტო წინადადებების მისაღებად ტენდერი გამოცხადდება.

მოგვიანებით კი ასევე ტენდერის გზით სამუშაოების მწარმოებელი კომპანია შეირჩევა.

სამუშაოების დაწყებისა და პროექტის დასრულების დეტალებზე „საქართველოს რკინიგზაში“, ჯერჯერობით, ვერ საუბრობენ.

უწყებაში მხოლოდ იმას განმარტავენ, რომ მატარებლით



– წამყვანი სპეციალისტები უკვე მუშაობენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე, რომელმაც უნდა დაადგინოს პროექტის ეკონომიკური ეფექტურობა. ეს მოგვცემს საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ, როგორი უნდა იყოს პროექტი. ვფიქრობთ, ეს იქნება ძალიან ეფექტური და მოსახერხებელი, არა მხოლოდ ქუთაისის აეროპორტში მიმავალი მგზავრებისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის, ვინც ქუთაისში და თუნდაც ევროპაში მიდის, – განაცხადა ქუთაისიპოსტთან საუბარში დაჩი ცაგურიამ.

მისი თქმით, ტექნიკურ-მგზავრობის ტარიფი მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება.

– „საქართველოს რკინიგზა“ ერთ-ერთი ყველაზე იაფია მთელს მსოფლიოში, ამიტომ ამ შემთხვევაშიც არ იქნება მაღალი ტარიფები, – აცხადებს დაჩი ცაგურია.

ამ დრომდე, თბილისიდან ქუთაისში მატარებლით ჩასულ მგზავრებს, აეროპორტამდე მისასვლელად, დამატებითი ტრანსპორტის გამოყენება სჭირდებათ, რაც, გარდა გართულებული გადაადგილებისა, გაზრდილ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

# ნოდარ ხადური: „ლარი შეინარჩუნებს სტაბილურობას და გამყარდება“

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დარწმუნებულია, რომ ლარი შეინარჩუნებს სტაბილურობას და საშუალოვადიან პერიოდში აუცილებლად გამყარდება.

ამის შესახებ ხადურმა ჟურნალისტებს ლარის კურსის ვარდნის ტენდენციაზე კომენტირებისას განუცხადა.

– საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააკეთა განცხადება, რომ ერთჯერად ტრანზაქციებს ჰქონდა ადგილი. ეს ტრანზაქციები დასრულებულია და ჩვენ იმედი გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ ლარი შეინარჩუნებს სტაბილურობას და, როგორც არაერთხელ აღინიშნა, საშუალოვადიან პერიოდში ის აუცილებლად გამყარდება, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.



# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.388 ლარი გახდება.

კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.3803 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0085 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.5983 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.5919 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებით 0.0064 ლარი შეადგინა.

# ოჯახი: „მოკლული გიორგი შენგელია კრწანისის სამხედრო ბაზაზე ძმასთან ერთად არ იმყოფებოდა“

**კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც დაიღუპა გიორგი შენგელია, კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.**





ოჯახის ინფორმაციით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოკლული გიორგი შენგელია კრწანისის სამხედრო ბაზაზე ძმასთან ერთად იმყოფებოდა.

როგორც ჟურნალისტებს გიორგი შენგელიას ბიძაშვილმა, გიორგი მებონიამ განუცხადა, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ გამოცხადდა ძებნა გარდაცვლილის ძმაზე.

— სამნი იყვნენ შესული მეგობრის სანახავად. გუშაგი ვალდებული არ იყო, ესროლა, ჯერ სიტყვიერი გაფრთხილება უნდა მიეღო, შემდეგ ჰაერში უნდა განეხორციელებინა სროლა. ჩვენი ინფორმაციით, შიდა პერიმეტრში არ იმყოფებოდნენ, ისინი იყვნენ გარეთ, დანარჩენი ორი არ არიან ზუგდიდელები, ისინი თბილისელები არიან. ინფორმაცია, რომ თითქოს გიგას ძმაც იქ იყო, არის ტყუილი. რატომ გამოცხადდა მასზე ძებნა, ეს ჩვენთვის გაუგებარია, — განაცხადა გიორგი მებონიამ.

თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ადასტურებს, რომ გიორგი შენგელიას ძმა აღნიშნულ ცენტრში მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე ნამდვილად მსახურობდა.

როგორც ლევან იზორიამ ტელეკომპანია „იმედს“ განუცხადა, შესაბამისად, გამოძიებას, ბუნებრივია, აქვს გარკვეული კითხვები ძმასთან.

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება გამოკითხვის წარმოება ძმასთანაც, თუმცა მისი ადგილმდებარეობის დადგენა ამ ეტაპამდე შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, როდესაც მის ადგილმდებარეობას საგამოძიებო ორგანოები დაადგენენ, ეს გამოკითხვაც ჩატარდება, — განაცხადა იზორიამ.

თავდაცვის სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, სურვილის და ინტერესის შემთხვევაში გიორგი შენგელიას ოჯახს მისცეს ინფორმაცია მომხდარზე, ასევე დაათვალიერებინოს შემთხვევის ადგილი, სამართალდამცავების მოქმედების არეალი და მათ ყველა კითხვას ადგილზე გასცეს პასუხი.

როგორც სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, უწყება წინააღმდეგი არ არის, დაინტერესების შემთხვევაში, საქმეში ჩაერთონ დამოუკიდებელი ექსპერტები და ჩატარდეს ალტერნატიული ექსპერტიზა.

— შემთხვევა მოხდა ბაზის უკანა შიდა პერიმეტრზე. გუშაგი იმყოფებოდა არა საგუშაგოში, არამედ ახორციელებდა განწესით გათვალისწინებულ შემოვლას. სწორედ შემოვლის დროს მან შენიშნა ბაზის შიგნით შესული უცხო პირები, რომლებიც სიტყვიერად გააფრთხილა, შეჩერებულიყვნენ.

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა პირმა გუშაგს რკინის ცეცხლმაქრი ესროლა, მან ჰაერში განახორციელა გამაფრთხილებელი გასროლა და როდესაც დაინახა, რომ ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას, მხოლოდ მას შემდეგ მოხდა სროლა უცნობი პირების მიმართულებით. გუშაგმა ყველა ნორმის დაცვით, აბსოლუტური სიზუსტით იმოქმედა, — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ყველა ბაზაზე არის სამხედრო პოლიციის დანაყოფი, შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები მყისიერად მივიდნენ და დაიწყეს შესაბამისი პროცედურები. გამოიკითხა გუშაგი, მოხდა უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საიდანაც გაზის პისტოლეტი, ღამის მაშუქი, მობილური ტელეფონი და რკინის ცეცხლმაქრი ამოიღეს, რომლებიც, სავარაუდოდ, უცნობ პირებს ეკუთვნით. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატური იარაღის 5 მასრაც.

— რადგან სიბნელის გამო, გუშაგის მიერ არ არსებობდა ზუსტი ინფორმაცია უცნობი პირების შემდგომი გადაადგილების შესახებ, პირველ რიგში აუცილებელი იყო შიდა პერიმეტრზე განლაგებული შენობა-ნაგებობების და საცავების დათვალიერება. მას შემდეგ, რაც იქ არავინ აღმოჩნდა, ოპერატიულმა სამსახურმა ბაზის გარე პერიმეტრზე დაიწყო სამძებრო სამუშაოები და სწორედ იქ მოხდა გიორგი შენგელიას ცხედრის აღმოჩენა, — აღნიშნულია განცხადებაში.

სამხედრო უწყება მიუთითებს, რომ გამოძიება გრძელდება.

— საკითხის მაღალი საერთაშორისო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის საელჩოს უსაფრთხოების სამსახურთან. გამოძიების მიმდინარეობას აკვირდება სახალხო დამცველის აპარატი. ამ დროისთვის საქმეზე გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ტარდება, მათ შორის, დგინდება იმ პირთა წრე, ვისთან ერთადაც მოქმედებდა ბაზის ტერიტორიაზე შეჭრილი გიორგი შენგელია, რომლის ცხედარიც შემთხვევის ადგილიდან 97 მეტრში, მას შემდეგ, რაც განხორციელდა შიდა პერიმეტრის დათვალიერება, ბაზასა და დასახლებას შორის არსებულ პერიმეტრზე იქნა აღმოჩენილი, — აცხადებენ სამინისტროში.

* * *

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ კრწანისის სასწავლო ცენტრში მომხდარი ფაქტის დროული და გამჭვირვალე გამოძიება უმნიშვნელოვანესია.

ამის შემდეგ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ასევე მიიჩნევს, რომ ყველა კითხვას, რომელიც აქვთ დაღუპულის ოჯახის წევრებსა და საზოგადოებას, უნდა გაეცეს კომპეტენტური პასუხი.

— კრწანისის ცენტრი არის ძალიან მნიშვნელოვანი და, ასევე, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაცული ცენტრი, სადაც განთავსებულია ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი. სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მიიჩნევს, რომ ყველა კითხვას, რომელიც აქვთ დაღუპულის ოჯახის წევრებსა და საზოგადოებას, უნდა გაეცეს კომპეტენტური პასუხი, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

# ტურისტულ კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ 4.817,46 ლარის გადახდა დაეკისრა



თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ტურისტულ კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ 4.817,46 ლარის გადახდა დაეკისრა.

როგორც ინტერპრესნიუსს საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოქალაქე კ. პ. -ის მიმართ არ იქნა დაცული ინფორმირების სტანდარტი.

მოსარჩელემ ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში შეიძინა სამგზავრო ბილეთი თბილისი-სტამბული-ტორონტო-რიო დე ჟანეიროს მიმართულებით, თუმცა ტრანზიტული ვიზის არქონის გამო, თურქეთის აეროპორტიდან ტორონტოს მიმართულებით ფრენის განხორციელება ვერ შეძლო.

მიუხედავად მოპასუხე მხარის პოზიციისა, რომ ტურისტულ კომპანიას ბილეთის შეძენის დროს ვიზებთან დაკავშირებული მოთხოვნების შემოწმების ვალდებულება არ აქვს და არ ყოფილა შეთავაზებული ტურისტული პაკეტი/ტური, სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების ურთიერთშეჯერებით დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ მიეწოდა სათანადო ინფორმაცია ტრანზიტული ვიზის შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულებებში, სადაც ერთ-ერთი მხარე მომხმარებელია, ინფორმაციის მიწოდება მეწარმის უპირობო ვალდებულებაა. ტურისტული მომსახურების სფეროში, კანონმდებელი მაქსიმალურად განსაზღვრავს ტურისტისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსს და ამკვიდრებს ასეთი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

წინდახედულობის სტანდარტი — „იცის’’, ან „უნდა სცოდნოდა“ — ეფუძნება მეწარმის ვალდებულებას მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულეზე და სანდოობაზე.

სასამართლომ, ასევე, გაიზიარა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც „მეწარმე პირი ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თვითონ მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით“.

# რუსთავში მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

რუსთავში მამაკაცმა თავი მოიკლა.

შემთხვევა მეოცე მიკრორაიონში მოხდა. 62 წლის მამაკაცი კორპუსის მაღალი სართულიდან გადახტა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მამაკაცის გარდაცვალების ფაქტს ადასტურებს, თუმცა მიზეზებზე არ საუბრობს.




მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მერაბ კვირიკაშვილის მანქანის ავარიის საქმეზე ავტოტექნიკური ექსპერტიზა დაინიშნა

ქუთაისი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე ზაფხულში მომხდარი ავარიის საქმეზე, რომელსაც 4 ადამიანი ემსხვერპლა, მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი და გიორგი ლომინაძე კი დაშავდნენ, ავტოტექნიკური ექსპერტიზაა დანიშნული.

როგორც ინტერპრესნიუსს მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, სწორედ ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ მოხდება საქმეზე სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება.

— საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, დანიშნულია ავტოტექნიკური ექსპერტიზა, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ ვისი ბრალეულობით მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ მოხდება სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება, — აცხადებენ პროკურატურაში.

2016 წლის, 21 ივლისს, სამტრედია-ქუთაისის გზაზე ერთმანეთს დიდი სიჩქარით მოძრავი ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ერთ-ერთ მანქანას მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი მართავდა.

მძიმე ავარიის დროს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, გიორგი პაპასკირი და ნუცა კალანდარია, ასევე მათი მეგობარი ანი ჩხაიძე გარდაიცვალნენ. მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი და გიორგი ლომინაძე მეუღლეებთან ერთად მძიმედ დაშავდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, კვირიკაშვილის მეუღლე ანანო ბუაძეც გარდაიცვალა.



ტრაგედიიდან დაახლოებით სამ თვეში მერაბ კვირიკაშვილი რაგბის მოედანზე გამოჩნდა, რასაც საზოგადოების ნაწილის მხრიდან კრიტიკული შეფასებები მოჰყვა.

# გერმანიაში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ჩეჩნების ჯგუფი დააკავეს

გერმანიაში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ჩეჩნების ჯგუფი დააკავეს.

პოლიციის ცნობით, ყველა მათგანი ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებაშია ეჭვმიტანილი.

ანტიტერორისტული ოპერაცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქში ჩატარდა.

როგორც „დოიჩე ველე" წერს, 2015 წლიდან პოლიცია რუსეთის მოქალაქეს, 28 წლის ეთნიკურ ჩეჩენს აკვირდებოდა,



რომელიც, გამოძიების თანახმად, სირიაში გამგზავრებას და დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს რიგებში გაწევრიანებას გეგმავდა.

გამოძიების დროს პოლიციელებმა დაადგინეს, რომ 10 ჩეჩენი მამაკაცი და 3 ქალი, რომლებსაც გერმანიაში თავშესაფრის მიღებაზე ჰქონდათ შეტანილი განაცხადი, სავარაუდოდ, ტერორისტებს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ.

# შოტლანდიას დამოუკიდებლობისთვის ახალი რეფერენდუმის ჩატარება სურს

შედგა შოტლანდიის პრემიერ ნიკოლა სტერჯენისა და ინგლისის მთავრობის მეთაურის ტერეზა მეის შეხვედრა.

საუბარი ბრექსიტსა და ინგლის-შოტლანდიას შორის ურთიერთობებს მიეძღვნა.

სტერჯენმა განაცხადა, რომ შოტლანდიას ევროკავშირში სურს დარჩენა და რაკი ინგლისმა ბრექსიტი აირჩია, არ გამორიცხავს დამოუკიდებლობისთვის ახალი რეფერენდუმის ჩატარებას და გაერთიანებული სამეფოდან გასვლას. ამის შემდეგ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, შოტლანდია ევროკავშირში გაწევრიანდება.

ჟურნალისტებთან საუბარში სტერჯენმა



გულისტკივილით აღნიშნა, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობამ დამოუკიდებლობას მხარი არ დაუჭირა.

# ტრამპი მისმა შტაბმა გააბრაზა

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა აღშფოთება გამოთქვა თავისი საარჩევნო შტაბის წევრის, კონვეის განცხადების გამო.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კონვეიმ აღიარა, რომ ჰილარი კლინტონი ტრამპს რეიტინგით უსწრებს.

– კონვეის თავისი გამოთქმა ჩემთვის არ შეუთანხმებია. მე არ შემეძლო მისთვის დასტური მიმეცა, რადგან ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები, – ჩვეული რიხით თქვა ტრამპმა.




პრეზიდენტობის კანდიდატმა კვლავ ძველი თეზისი გაიმეორა: ამერიკული მედია, ისევე, როგორც სოციალური კვლევების სამსახურები, კლინტონების ოჯახის მიერ არის მოსყიდული. ყველა ისინი არჩევნების გაყალბებისთვის ემზადებიან და ყალბ რეიტინგებსაც ავრცელებენ.

– პირდაპირ აღარ ვიცი, ჩემი აღშფოთება როგორ გამოვხატო, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა, რომ სინამდვილეში მისი რეიტინგი ჰილარი კლინტონის რეიტინგს არა მხოლოდ გაუტოლდა, არამედ გადაასწრო კიდეც.

– ვიმედოვნებ, რომ ეს არჩევნებზე გამოჩნდება, – ამბობს ტრამპი.

# ლიტვაში ახალი მთავრობა იქმნება

ლიტვის საპარლამენტო არჩევნებში ცენტრისტული ორიენტაციის „გლეხთა და მწვანეთა კავშირმა" გაიმარჯვა.

ამ ორგანიზაციაში არც გლეხებია და არც მწვანეები, სამაგიეროდ, იქ უხვად არიან ინტელექტუალები, კაუნასისა და ვილნიუსის უნივერსიტეტების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები, მწერლები.




სავარაუდოდ, ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგება „გლეხთა და მწვანეთა კავშირის" ლიდერი კარბაუსკასი. ეს ფაქტი ექსპერტებში ეჭვს არ იწვევს, თუმცა სხვა პარტიებთან კოალიციის გარეშე მინისტრთა კაბინეტი ვერ შეიქმნება.

კარბაუსკასმა განაცხადა, რომ არ შექმნის კოალიციას ლიბერალებთან და პოლონურ პარტიებთან. სავარაუდოდ, კოალიცია შეიქმნება ქრისტიან-დემოკრატებთან და პარტია „სამშობლოს დამცველთა კავშირთან".

# თურქეთი და უკრაინა სამხედრო თანამშრომლობას აფართოებენ



უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ტურჩინოვი თურქეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე დემირს შეხვდა.

განხილულ იქნა უკრაინის თავდაცვის კომპლექსში თურქული ინვესტიციების მოზიდვის საკითხი.

– ჩვენ უკრაინასთან სამხედრო თანამშრომლობით ძალზე დაინტერესებულნი ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს პერიოდში ეს თანამშრომლობა გაფართოვდება, – განუცხადა ჟურნალისტებს დემირმა.

# პაკისტანი: თავდასხმა პოლიციელთა სასწავლებელზე




პაკისტანის ქალაქ კვეტაში ტერორისტები თავს დაესხნენ პოლიციელთა სასწავლებელს.

მათ შენობაში დაუბრკოლებლად შეაღწიეს და სროლა ატეხეს. პაკისტანის უშიშროების ძალებმა შენობა ტერორისტებისგან გაათავისუფლეს. სროლის შედეგად ლიკვიდირებულია 3 ტერორისტი.

თავდასხმის შემდეგ ინტერნეტში გავრცელდა მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობას ისლამური სახელმწიფო იღებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# ანტალიაში მომხდარი აფეთქების შედეგად 12-მდე ადამიანი დაშავდა

გუშინ, 25 ოქტომბერს, ანტალიაში მომხდარი აფეთქების შედეგად 12-მდე ადამიანი დაშავდა.

ამის შესახებ ანტალიის მერმა მენდერეს ტურელმა განაცხადა.



აფეთქება სავაჭრო-სამრეწველო პალატის ავტოპარკინგზე მოხდა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქდა ერთ-ერთი ავტომობილი. ანტალიის მერის განცხადებით, ტერაქტზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან, შესაძლოა, მომხდარი ავარიის შედეგი იყოს.

აფეთქების შედეგად ავტოპარკინგზე მდგომი რამდენიმე ავტომობილი მნიშვნელოვნად დაზიანდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ სამრეწველო პალატის შენობაში მინები ჩაიმსხვა.

გუშინ სამრეწველო პალატაში, ქალაქის მერის მონაწილეობით, ოფიციალური ღონისძიების ჩატარება იყო დაგეგმილი.

**მან შეიძლება თქვენ სიკვდილისგან გადაგარჩინოთ!!!**



**მხუთავი გაზის (CO – კარბონ-მონოქსიდის) დეტექტორი.**

CO – ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის. მას არ აქვს არც გემო, არც სუნი, არც ფერი და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს სიკვდილიც კი!

ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში CO-თი ინტოქსიკაციის 1500-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, არაოფიციალური მონაცემები კი გაცილებით მეტია. 2015-16 წლებში ლეტალური შედეგით რამდენიმე ათეული შემთხვევა აღირიცხა.

დღეს ეს საფრთხე თითქმის ყველგანაა ჩასაფრებული, თუმცა ჩვენ გთავაზობთ მისი გაკონტროლებისა და თავიდან აცილების საშუალებას CO – კარბონ-მონოქსიდის დეტექტორს. იგი ზომავს ოთახში მხუთავი აირის კონცენტრაციის დონეს და სახიფათო ზღვარის მიღწევის შემთხვევაში ხმოვანი სიგნალით (85 დბ. სიმძლავრით) გატყობინებთ საშიშროების შესახებ.

**ფასი: 50.00 ლარი.**

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79.**

**ტელ.: 596 20 30 20, 598 37 30 19**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვანკომპანიასესაჭიროებაუფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისადანარკომანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია", „ზაპოი", აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# თბილისის დინამოს გროზნი გაწვრთნის



თბილისის დინამოს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ვიაჩესლავ გროზნი. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიას მრჩეველმა ლევან სალუქვაძემ განაცხადა.

გროზნი სხვადასხვა წლებში მოსკოვის სპარტაკს, გროზნის ტერეკს, ზაპოროჟიეს მეტალურგს, დნეპროპეტროვსკის დნიპროს წვრთნიდა. ბოლოს უკრაინელი სპეციალისტი 2013-დან 2016 წლამდე უკრაინულ გოვერლას ხელმძღვანელობდა.

# გორის დილა ისრაელის ჰოლდინგმა იყიდა

მიმდინარე გათამაშების დაწყებამდე და მისი მსვლელობის დროს გორელი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა გორის დილას კერძო მფლობელობაში გადასვლას.

როგორც იქნა, ამ საქმეს თავი მოება და გორის „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ინვესტორსა და ქალაქის მერიას შორის ხელი მოეწერა დილას კერძო მფლობელობაში გადასვლის ხელშეკრულებას.



ცხადია, დიდია გულშემატკივართა ინტერესი იმ ბიზნესჯგუფის მიმართ, რომლებიც დილას მფლობელები გახდნენ.

ინვესტორთა ჯგუფის მთავარი მენეჯერი ავი ციონი ამბობს, რომ ჯგუფი წლის ბოლომდე 1 მილიონი ლარის ინვესტირებას განახორციელებთ დაგროვილი ვალების დასაფარად.

– მომდევნო სეზონში ვგეგმავთ საკუთარი რესურსებიდან 500.000-1.000.000 ლარის ინვესტირებას ყოველ სეზონზე, ხოლო სპონსორების მეშვეობით ვაპირებთ ახალი და საინტერესო პროექტების განხორციელებას, რასაც დავიწყებთ 2017 წლის დასაწყისიდან, – განაცხადა მთავარმა მენეჯერმა.

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა ტომაშ ბერდიხი დაამარცხა



ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მსოფლიოს მე-10 ჩოგანი, ჩეხი ტომაშ ბერდიხი 3 სეტში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა.

ეს გამარჯვება ბასილაშვილის კარიერაში უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ნიკას პირველი ათეულის ჩოგბურთელი ჯერ დამარცხებული არ ჰყავდა. შეხვედრა ავსტრიაში, კერძოდ კი ვენაში გაიმართა, სადაც ატპ-ის ტურნირი ტარდება. ბასილაშვილი მეორე წრეში გავიდა, იქ კი მას რუსი ჩოგბურთელი კარენ ხაჩანოვი ელოდება.

ხაჩანოვი პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლება და 20 წლის ასაკში ის უკვე 63-ე ჩოგანია.

ნიკა მსოფლიო რეიტინგში ამჟამად 107-ე პოზიციას იკავებს. ხაჩანოვთან შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართება.

# კევინ დე ბრუინემ ისევ ტრავმა მიიღო



მანჩესტერ სიტის ბელგიელმა ფორვარდმა კევინ დე ბრუინემ კიდევ ერთი ტრავმა მიიღო.

დე ბრუინეს სეზონის დასაწყისში უკვე ჰქონდა ტრავმა, რომელიც მან ახლახან მოირჩინა. ამჯერად კევინმა ტრავმა ვარჯიშის დროს მიიღო და ამის გამო ის ოთხშაბათს მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ სათასო თამაშს გამოტოვებს. მანჩესტერ სიტის ამჟამად საკმაოდ რთული პერიოდი აქვს და ხოსეპ გვარდიოლას გუნდს სექტემბრის ბოლოდან თამაში არ მოუგია.

მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ მატჩი სიტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

# მარატ საფინმა რუსი ფეხბურთელები გააკრიტიკა



რუსმა ყოფილმა ჩოგბურთელმა მარატ საფინმა, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, რუსულ ფეხბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ ფეხბურთის თამაში რუსების საქმე არ არის.

საფინის აზრით, რუსი ფეხბურთელები მხოლოდ ფულსა და გართობაზე ფიქრობენ და ამიტომ ფიზიკურად ცუდად არიან მომზადებულები, რაც ევროპის ჩემპიონატზეც გამოჩნდა.

საფინმა რუსული ფეხბურთის ამჟამინდელი ვარსკვლავები გააკრიტიკა და თქვა, რომ 90-იან წლებში რუსებს გაცილებით ძლიერი ფეხბურთელები ჰყავდათ.

საფინმა დაამატა, რომ პროგრესი შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის საქმისადმი მიდგომა უნდა შეიცვალოს.

## შედეგები

**24 ოქტომბერი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ბოხუმი ............ 3:0

**იტალია. სერია ბ**

სპეციზ-ჩიტადელა ............ 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ამიენი-რედ სტარი ............ 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ჩავესი ............ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ზენიტი-ორენბურგი ............ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-პანათინაიკოსი ............ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ფენერბახჩე ............ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-კორონა ............ 4:0

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-მიდტიულანდი ............ 1:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-იონჩოპინგი ............ 0:2

გიოტებორგი-აიკი ............ 1:0

# დინამომ ბათუმს სტუმრად მოუგო

**ბათუმი-დინამო 86:91**

**(24:16, 24:27, 18:24, 20:24)**



საკალათბურთო სუპერლიგის მეორე ტური ბათუმში დასრულდა, სადაც სათამაშოდ მიმდინარე სეზონში დუდუ დადიანის მემორიალისა და სუპერთასის გამარჯვებული დინამო ჩავიდა. შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, რომლის ბედიც ბოლო პერიოდში სტუმართა სასარგებლოდ გადაწყდა.

ბათუმელებმა შეხვედრა შედეგიანად დაიწყეს და ლიდერობა დებიუტშივე რომ მოიპოვეს, 24 წუთამდე ლიდერობდნენ. ერთხანს მასპინძელთა უპირატესობამ 11 ქულასაც უწია – ეს პირველი ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მოხდა, როცა ილია შემოსიუკის შედეგიან სამქულიანს ზღვისპირელთა 44:33 დაწინაურება მოჰყვა. ტაიმის დარჩენილ მოკლე დროში მიხეილ ჭოჭუას, ნიკოლა მარავიჩისა და მიხეილ ბერიშვილის შედეგიანობით დინამოელებმა ჩამორჩენის შემცირება 5 ქულამდე შეძლეს – 43:48.

მესამე მეოთხედში დინამოელებმა გუნდური თამაშის წყალობით 14:4 გაქცევა მოაწყვეს და 62:56 დაწინაურდნენ. გადამწყვეტი პერიოდის წინ დინამოელებს 1-ქულიანი ლიდერობა შერჩათ და თამაში თანაბარ კალაპოტში ჩადგა.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამოელები მცირე ლიდერობას ინარჩუნებდნენ, თუმცა მატჩის მიწურულს, საფინალო სირენამდე 3:40 წუთით ადრე სტუმრები 8 ქულით დაწინაურდნენ – 83:75.

დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ბათუმელებმა კარგი დაცვისა და შედეგიანი შეტევის წყალობით ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ბესო ლეჟავამ ერთი სამქულიანი და ერთიც ორქულიანი ჩააგდო, შემოსიუკმა კი 3 საჯარიმო მიითვალა – 83:83 თამაშის დასრულებამდე 1:20 წუთით ადრე.

დასკვნით ეპიზოდში შესანიშნავად ითამაშა მიხეილ ბერიშვილმა და ნიკოლა მარავიჩმა. მათმა გააზრებულმა გარჯამ დინამოელებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა. ბერიშვილმა დამაწინაურებელი ორიანი ჩააგდო, რის შემდეგაც მარავიჩმა დინამოელთა 2 აცილებული ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და საჯარიმოები მიითვალა – 87:83. შეხვედრას მიხეილ ბერიშვილმა დაუსვა წერტილი, რომელმაც ლეჟავას ნასროლი მოხსნა და ზუსტი საჯარიმოებით დინამო ბათუმელთათვის მიუღწეველი გახადა.

გამარჯვებულთა შორის 21 ქულით ბომბარდირი გახდა მიხეილ ბერიშვილი, 18 ქულა მოაგროვა მიხეილ ჭოჭუამ, ხოლო ნიკოლა მარავიჩმა შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. ბათუმელთაგან 23 ქულით საუკეთესო შედეგი ბესო ლეჟავამ დააფიქსირა, ხოლო ილია შემოსიუკის ანგარიშზე 22 ქულა და 5 პასი დაგროვდა. ორმაგი დუბლი – 13 ქულითა და 10 მოხსნით დაასრულა შეხვედრა კრისტოფერ ფელჩერმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.რუსთავი | 2 | 2 | 0160-135 | 4 |
| 2.დინამო | 2 | 2 | 0159-143 | 4 |
| 3.ქუთაისი | 2 | 1 | 1179-170 | 3 |
| 4.ბათუმი | 2 | 1 | 1183-182 | 3 |
| 5.კაკტუსი | 1 | 1 | 0 79-76 | 2 |
| 6.სოხუმი | 2 | 0 | 2158-181 | 2 |
| 7.ოლიმპი | 2 | 0 | 2125-150 | 2 |
| 8.მგზავრები | 1 | 0 | 1 91-97 | 1 |

# ოქროს ბურთის ნომინანტთა სია ცნობილია




ფრანს ფუტბოლმა იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც „ოქროს ბურთისთვის“ იბრძოლებენ.

**ფეხბურთელების სია ასეთია:**

სერხიო აგუერო (სიტი),პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), გარეთ ბეილი (რეალი), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), კრიშტიანუ რონალდუ (რეალი), პაულო დიბალა (იუვენტუსი), კევინ დე ბრიუნი (სიტი), დიეგო გოდინი (ატლეტიკო), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (იუვენტუსი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მანჩესტერი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), კოკე (ატლეტიკო), ტონი კროოსი (რეალი), რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), უგო ლორისი (ტოტენჰემი), რიად მაჰრეზი (ლესტერი), ლიონელ მესი (ბარსელონა), ლუკა მოდრიჩი (რეალი), ტომას მიულერი (ბაიერნი), მანუელ ნოიერი (ბაიერნი), ნეიმარი (ბარსელონა), დიმიტრი პაიე (ვესტ ჰემი), პეპე (რეალი), პოლ პოგბა (იუნაიტედი), რუი პატრისიო (სპორტინგი), სერხიო რამოსი (რეალი), ლუის სუარესი (ბარსელონა),ჯეიმი ვარდი (ლესტერი), არტურო ვიდალი (ბაიერნი).

შეგახსენებთ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში „ოქროს ბურთს“ ფიფა გადასცემდა. მანამდე კი ეს მისია ფრანს ფუტბოლსა და ჟურნალისტებს ჰქონდათ დაკისრებული. ჟურნალი ამ საქმიანობას 1956 წლიდან 2009 წლამდე ახორციელებდა.

2010 წლიდან 2015-მდე კი ფიფას ორგანიზებით ხდებოდა საუკეთესო გამოვლენა და დაჯილდოება. გარდა ფიფას წევრებისა, ხმის მიცემაში, ჟურნალისტების გარდა, ყველა ქვეყნის მთავარი მწვრთნელი და ნაკრების კაპიტანი მონაწილეობდნენ. წელს კი ეს მისია კვლავ ჟურნალმა და ჟურნალისტებმა დაიბრუნეს.

სამაგიეროდ, იანვარში ფიფა წლის საუკეთესო მწვრთნელს დაასახელებს და გამოქვეყნდა იმ მწვრთნელების გაფართოებული სია, რომლებიც ამ ტიტულისთვის იბრძოლებენ.

საინტერესო ის არის, რომ სიაში ვერ მოხვდნენ ჟოზე მოურინიო და ანტონიო კონტე და დაჯილდოების ცერემონიალიც ამ ორი გამოცდილი სპეციალისტის გარეშე ჩაივლის.

**გაფართოებულ სიაში არიან:**

მასიმილიანო ალეგრი (იუვენტუსი), კლაუდიო რანიერი (ლესტერი), მაურიციო სარი (ნაპოლი), ფერნანდუ სანტუში (პორტუგალიის ნაკრები), დიდიე დეშამი (საფრანგეთის ნაკრები), კრის კოულმენი (უელსის ნაკრები), ლარს ლაგერბეკი (ისლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი), მაიკლ ონილი (ჩრ. ირლანდიის ნაკრები), ზინედინ ზიდანი (რეალი), უნაი ემერი (პსჟ), ლორან ბლანი (პსჟის ყოფილი მწვრთნელი), ხოსეპ გუარდიოლა (სიტი), იურგენ კლოპი (ლივერპული), ლუის ენრიკე (ბარსელონა), ხერარდო მარტინო (ატლანტა იუნაიტედი), მაურისიო პოჩეტინო (ტოტენჰემი), დიეგო სიმეონე (ატლეტიკო), იგნასიო ამბრისი (ამერიკა), ხუან ანტონიო პიცი (ჩილეს ნაკრები), რეინალდო რუედა (ატლეტიკო ნასიონალი) და რუი ვიტორია (ბენფიკა).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ტიაგო სილვა იუვენტუსში გადადის



პსჟ-ს ცენტრალური მცველი ტიაგო სილვა, შესაძლოა, ტურინის იუვენტუსში აღმოჩნდეს.

სილვას კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და ის მის გახანგრძლივებას არ აპირებს. ბრაზილიელმა მცველმა უკვე მიაღწია იუვესთან სიტყვიერ შეთანხმებას და ზაფხულში იუვენტუსის ფეხბურთელი იქნება.

იუვეს სპორტულმა დირექტორმა ბეპე მაროტამ განაცხადა, რომ ტიაგო სილვა უდიდესი ფეხბურთელია და ტურინელებს მისი შეძენა ყოველთვის უნდოდათ.

ტიაგო სილვა პსჟ-ში 2012 წელს გადავიდა, მანამდე კი 4 წლის განმავლობაში მილანის ღირსებას იცავდა.

# დანიელ სტარიჯმა ზამთარში, შესაძლოა, ლივერპული დატოვოს

ლივერპულის ფორვარდი დანიელ სტარიჯი წლევანდელ სეზონში ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რომელსაც მისგან ელის გულშემატკივარი, ამიტომ, არ არის გამორიცხული, იანვარში მან ლივერპული დატოვოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლივერპულის მწვრთნელი იურგენ კლოპი მისი თამაშით უკმაყოფილოა და, თუ სტარიჯი არ გამოასწორებს თამაშის ხარისხს, ლივერპული მას ზამთარში გაყიდის.



სტარიჯი ლივერპულში 2013 წელს გადავიდა და პირველი სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა, თუმცა მას შემდეგ მან არაერთი ტრავმა მიიღო, რამაც მას არ მისცა საშუალება, თავისი პოტენციალი ბოლომდე გამოევლინა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გულის თანდაყოლილი მანკი ორსულობის მეორე-მერვე კვირას ყალიბდება

**არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის გული იმ ზომისაა, რა ზომის მარცხენა ხელის მუშტიც აქვს მას. გული რომ ყველაზე ფაქიზი და სათუთი ორგანოა, ამაზე აღარავინ დავობს. იგი მთელი ორგანიზმის მამოძრავებელი ტურბოა და სიცოცხლის ხანგრძლივობაც მის გამძლეობასა და მუშაობის ხარისხზეა დამოკიდებული.**

ანატომიურად გული ოთხი განყოფილებისგან – ორი წინაგულისა და ორი პარკუჭისგან – შედგება. როგორც წინაგულებს, ასევე პარკუჭებს შორის მოთავსებულია ძგიდე, რომელიც ხელს უშლის არტერიული და ვენური სისხლის ერთმანეთთან შერევას.

წინაგულები ერთმანეთისგან სარქვლებით არის გამოყოფილი. ეს კი სისხლს ერთი მიმართულებით – წინაგულიდან პარკუჭისკენ გადაისვრის. წინაგულების შეკუმშვისას სისხლის ნაკადი სარქვლებს აწვება, ისინიც იღება და ნაკადს პარკუჭისკენ ატარებს; შემდეგ, როცა უკვე პარკუჭები იწყებენ შეკუმშვას, სარქველთა კარები იკეტება და სისხლის უკუდინებას ეწინააღმდეგება.

მარცხენა წინაგულსა და პარკუჭს შორის არსებულ სარქველს მიტრალური (ორკარიანი) ეწოდება, ხოლო მარჯვენას – სამკარიანი.

გარდა ამისა, სარქვლები მოთავსებულია გულიდან გამომავალ სისხლძარღვებში – აორტასა და ფილტვის არტერიაში.

გულის მუშაობის მცირედი პათოლოგიური ცვლილებაც კი იწვევს მანკს. თანამედროვე მედიცინისთვის და კონკრეტულად ულტრასონოგრაფიითვის პრობლემას არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად ჯანმრთელი გულით იბადება ბავშვი.

გეგმიური შემოწმებისას, შეიძლება გამოვლინდეს ნაყოფის თანდაყოლილი პათოლოგია. გულის მანკი ორსულობის მეორე-მერვე კვირაზე ყალიბდება. დეფექტის აღმოჩენა მუცლადყოფნის მე-18-19 კვირიდან არის შესაძლებელი.



გულის თანდაყოლილი მანკი შეიძლება გამოიწვიოს ორსულობის პერიოდში გადატანილმა სხვადასხვა ინფექციამ, მაგალითად, წითელა, ჩუტყვავილა, ციტომეგალოვირუსული ინფექცია; გარდა ამისა, ნაყოფის გულის სტრუქტურული დეფექტი შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე ქიმიური ნივთიერებით მოწამვლამ, ზოგიერთი მედიკამენტის მიღებამ.

გულის თანდაყოლილი მანკები მეტად გავრცელებული გახლავთ. სხვადასხვა ავტორის მონაცემებით, ცოცხლადშობილთა 0,7-1,7%-ს გულის თანდაყოლილი მანკი აღენიშნება. ამათგან მკურნალობის გარეშე 14-22% – სიცოცხლის პირველი კვირის, 19-17% – პირველი თვის, ხოლო 30-80% – პირველი წლის განმავლობაში კვდება. ამდენად, გულის მანკი ძალზე საყურადღებო დაავადება გახლავთ, რომელსაც დროული გამოვლენა და მკურნალობა სჭირდება.

განასხვავებენ გულის თანდაყოლილი მანკის 90-მდე სახეობას, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს ძგიდის დეფექტით, ფილტვის ვენების ანომალიით, მარცხენა ან მარჯვენა გულის პათოლოგიით, მაგისტრალური სისხლძარღვების პათოლოგიით და ა.შ.

გულის მანკით დაავადებულ ბავშვთა უმრავლესობას აქვს ქოშინი, ციანოზი, ზრდაში ჩამორჩენა, სისუსტე, ცვლილებები სისხლის საერთო ანალიზის მაჩვენებლებში.

მაგრამ არსებობს მანკები, რომლებიც უსიმპტომოდ მიმდინარეობს და მისი აღმოჩენა „შემთხვევით" ექიმთან ვიზიტის დროს გამოვლინდება ხოლმე.

ბუნებრივია, გულის მანკი სხვადასხვა სიმძიმისაა. მისი კორექცია კი ძირითადად ოპერაციული გზით ხდება. დროული ოპერაციით შეიძლება ბავშვი სრულად გამოჯანმრთელდეს და თავის თანატოლებს არ ჩამორჩეს განვითარებით.

